პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 1951 წ. № 216 (9070). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა — „პრავდის" 12-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოსკოვის ოლქის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

სამგორის სახალხო მშენებლობაზე — ჩვენ მშვიდობა გვინდა! (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

ა. მგელაძე — ფართოდ დავნერგოთ პრაქტიკაში პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება (მე-3 და მე-4 გვერდი).

გ. ბაქრაძე—ჟურნალ „მნათობის" ერთი სტატიის შესახებ (მე-3 გვერდი).

უხვი მოსავლის ოსტატები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებში გაჩაღდა უდიდესი სამშენებლო მუშაობა. მი[illegible]ობით საბჭოთა ადამიანი თავისი [illegible]ადებული შრომით აჩქარებს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, გარდაქმნის ბუნებას, განამტკიცებს თავისი სამშობლოს ძლიერებას. შრომითი გმირობისათვის ჩვენს ხალხს რაზმავს და აღაფრთოვანებს ლენინ-სტალინის პარტია, რომელიც მასების შემოქმედებითს ენერგიას კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზნების მისაღწევად წარმართავს.

საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის მძლავრი ძალა მკაფიოდ მჟღავნდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების — სტალინური ეპოქის გრანდიოზულ ნაგებობათა მშენებლობის გეგმის განხორციელებით.

ერთი წლის წინათ — 1950 წლის 12 სექტემბერს — გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება თურქმენეთის მთავარი არხის — ამუ-დარია-კრასნოვოდსკის არხის მშენებლობის, დასავლეთ თურქმენეთის კასპიის ზღვისპირა ვაკის სამხრეთი რაიონების, ამუ-დარიის ქვემოწელისა და ყარა-ყუმის უდაბნოს დასავლეთი ნაწილის მიწების მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის შესახებ. საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ისტორიულ დადგენილებას, როგორც სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის სტალინური ზრუნვის ახალ გამოვლინებას.

თურქმენეთის მთავარი არხი კომუნიზმის დიადი მშენებლობაა. ამ არხის აგებით ხორციელდება მთელი რიგი უდიდესი სახალხო-სამეურნეო ამოცანები. მთავრობის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არხის მშენებლობა დაწყებულია იმ მიზნით, რომ მოვამარაგოთ წყლით სამრეწველო საწარმოები, მოვრწყათ ახალი მიწები უმთავრესად მებამბეობის განვითარებისათვის, უზრუნველვყოთ წყლით საძოვრები და კიდევ უფრო განვავითაროთ მეცხოველეობის საკვები ბაზა დასავლეთ თურქმენეთის კასპიის ზღვისპირა ვაკის სამხრეთ რაიონებში, მდინარე ამუ-დარიის ქვემოწელსა და ყარა-ყუმის უდაბნოს დასავლეთ ნაწილში, მივიღოთ ჰიდროელექტროენერგია ამ რაიონების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის.

თურქმენეთის 1.100 კილომეტრი სიგრძის მთავარი არხი მსოფლიოში უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. აქ აშენდება კაშხალები და დიდი წყალსაცავები, სამი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, სარწყავი და წყლით უზრუნველმყოფი არხები და მილსადენები სამრეწველო საწარმოებისა და დასახლებული პუნქტების წყლით მომარაგებისათვის. თურქმენეთის მთავარი არხის და ტახია-ტაშის კაშხალის გამოყენების ბაზაზე განხორციელდება 1.300 ათასი ჰექტარი ახალი მიწის მორწყვა და სასოფლო-სამეურნეო ათვისება მოკავშირე თურქმენეთის რესპუბლიკასა და ყარა-კალფაკეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმთავრესად მებამბეობის განვითარების მიზნით და ყარა-ყუმის უდაბნოს შვიდ მილიონ ჰექტარამდე საძოვრების წყლით უზრუნველყოფა.

თურქმენეთის მთავარი არხის ტრასი გადის წინათ ნახევრადუდაბნო, დაუსახლებელ რაიონებში, სადაც ასობით კილომეტრზე გადაჭიმულია უსიცოცხლო, პაპანაქება სიცხით გახურებული ქვიშნარი. ჩვენმა ხალხმა მიზნად დაისახა ლაიმორჩილოს ეს უდაბნო, გააჯეროს მიწები მაცოცხლებელი ტენით, აყვავებულ მინდვრებად გარდაქმნას ისინი, ნამდვილ ნაყოფიერების ველად გადააქციოს ეს ვრცელი მხარე, საბჭოთა საზოგადოების სამსახურში ჩააყენოს მისი ბუნებრივი სიმდიდრენი.

თურქმენეთის მთავარი არხის აგება ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ახალი შესანიშნავი გამოვლინებაა. კაპიტალიზმის დროს თურქმენეთისა და ყარა-კალფაკეთის ხალხები განწირული იყვნენ ულმობელი ექსპლოატაციის, შიმშილისა და გადაშენებისათვის. ბოლშევიკების პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლეს მშრომელები ყოველგვარი ექსპლოატაციისა და დამონებისაგან, ბედნიერი, სოციალისტური ცხოვრების გზაზე დააყენეს ისინი.

**„... ეროვნული ჩაგვრის მოსპობამ,—** გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **გამოიწვია ჩვენი ქვეყნის წინათ ჩაგრული ერების ეროვნული აღორძინება, მათი ნაციონალური კულტურის ზრდა, ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრული ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება და სოციალისტური მშენებლობის საქმეში მათი თანამშრომლობის დამყარება".**

საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობა დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. კომუნიზმის მშენებლობებს აშენებს ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი. მარტო ერთი წლის განმავლობაში თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე შეიქმნა მუშაკთა დიდი კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში ბევრი ეროვნების წარმომადგენლები არიან.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვით გარემოსილი თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლები ძალებს არ იშურებენ, რათა პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანები. მშენებლობაზე გაჩაღებულია მნიშვნელოვანი საკვლევი და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. ამ საპატიო ამოცანას მეცნიერებთან თანამშრომლობით ძნელ პირობებში წარმატებით ახორციელებს გეოლოგთა და მბურღავთა მრავალი პარტია.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მოსამზადებელი სამუშაოები მშენებლობისათვის საჭირო საწარმოთა და დამხმარე სამსახურთა ასაშენებლად. უკვე ამუშავდა მოძრავი ელექტროსადგურები, ყარა-ყუმის უდაბნოებში პირველად აინთო ელექტროშუქი. ამუშავდა ბევრი საწარმო, გაჰყავთ რკინიგზები და გზატკეცილები. ჩქარი ტემპით წარმოებს საბინაო და საყოფაცხოვრებო მშენებლობა, მშენებლებისა და მათი ოჯახებისათვის შენდება საცხოვრებელი სახლები, სკოლები, მაღაზიები, სასადილოები, სამედიცინო და კულტურული დაწესებულებანი.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა ისევე როგორც კომუნიზმის სხვა მშენებლობანი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის საკუთარი სასიცოცხლო საქმეა. თურქმენეთის სტალინური მშენებლობის დაკვეთებს ასრულებს მოსკოვისა და ლენინგრადის, ურალისა და დონბასის, ციმბირისა და ვოლგისპირეთის, მინსკის, თბილისის, რიგის, ტაშკენტის, ალმა-ატისა და ჩვენი ქვეყნის მრავალი სხვა ქალაქისა და რაიონის ათასობით საწარმო.

საბჭოთა ქვეყანა აიარაღებს მშენებლებს მძლავრი ტექნიკით — ექსკავატორებით, მიწისმწოვებით, სკრეპერებით, ბულდოზერებით, ტრაქტორებით, ავტომანქანებით. მშენებლობაზე განუწყვეტლივ მიდის ხე-ტყე, ცემენტი, აგური და სხვა მასალა.

ისწრაფვიან რა უფრო სრულად გამოიყენონ უმდიდრესი ტექნიკა, არხის მშენებლები ეუფლებიან შრომის მოწინავე მეთოდებს, იმაღლებენ კვალიფიკაციას. მშენებლობაზე ჩასული ასობით კოლმეურნე ახლა უკვე კვალიფიციური მუშაა. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ. შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში კომუნისტები არიან.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთა კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სანიმუშოდ შეასრულოს საწარმოო გეგმა, დაუღალავად იბრძოლოს ტექნიკური პროგრესისათვის. მშენებლობის პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელთა მოვალეობაა მუდამ მეთაურობდნენ მასების შეჯიბრებას, გულისხმიერად დაუგდონ ყური მშენებლობის მოწინავე ადამიანთა ხმას, განაზოგადონ და გაავრცელონ ნოვატორთა ძვირფასი გამოცდილება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მშენებლობაზე ორგანიზაციულ-პარტიული და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალი დონე და იზრუნონ მშენებელთა პოლიტიკური აღზრდისათვის, უფრო ფართოდ გააჩაღონ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა და გადაჭრით აღკვეთონ ნაკლოვანებანი მუშაობაში.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლები კომუნიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე შრომობენ. ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულნი, ისინი მთელ ძალებს ახმარენ სამშენებლო სამუშაოთა გეგმის სანიმუშოდ შესრულებას, ისწრაფვიან ღირსეულად გაამართლონ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს დიდი ნდობა.

**„პრავდის" 12/IX მოწინავე**

## ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბოლნისის რაიონის ბოლნისის სასოფლო საბჭოს სოფელს ჩათახს ეწოდა სოფელი ფოლადაური.

სოფელი ნავთიანი გამოეყო თეთრი წყაროს რაიონის დმანისის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ამავე რაიონის ირაგის სასოფლო საბჭოს. (საქინფორმი).

მოსკოვი, კრემლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად თქვენი, ამხანაგო სტალინ, ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების მეოხებით, ახალ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მოიყვანეს რა კარგი მოსავალი, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე 100,2 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (წინასწარ გამოკლებით). სასურსათო კულტურების ჩაბარების გეგმა შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. სახელმწიფოს ჩაბარდა ერთისამად მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს. კოლმეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას მტს-ების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით. ვადამდე შესრულებულია აგრეთვე თივის დამზადების გეგმა.

ზრუნავენ რა მომავალი მოსავლისათვის, ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 31 აგვისტოს შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა. კოლმეურნეობებმა ბევრად გაადიდეს საშემოდგომო ხორბლის ნათესი ფართობი. ახლა ხორბალს უკავია საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობის დაახლოებით ერთი მესამედი. საშემოდგომო ხორბლის ფართობის ნახევარზე მეტი და ჭვავის სათესლე ნაკვეთები დათესილია ჯვარედინი და ვიწრომწკრივული წესით. ოლქის კოლმეურნეობები ამჟამად ქმნიან საგაზაფხულო კულტურების სათესლე ფონდებს 1952 წლის თესვისათვის, ინახავენ საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს, რაც საჭიროა მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. წარმოებს მზრალად ხვნა და საშემოდგომო ანეულის ხვნა.

მოგახსენებთ, ამხანაგო სტალინ, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა საკოლმეურნეო ფერმებში ამ უკანასკნელი ორნახევარი წლის მანძილზე გაიდიდა 36,3 პროცენტით, ძროხის სულადობა — 69,3 პროცენტით, ღორისა — 81,6 პროცენტით, ცხვრისა — 28,1 პროცენტით და ფრინველისა — 34,5 პროცენტით. კოლმეურნეობებში საერთო მოწველილი რძის რაოდენობა ამავე ხნის განმავლობაში ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს დედაქალაქისა და ოლქის სამრეწველო ცენტრების მშრომელთა მოსამარაგებლად მოგვცემენ 200 ათასზე მეტ ტონა რძეს. უკვე ამჟამად ჩაბარდა სახელმწიფოს 5 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე გასულ წელს. სახელმწიფოს ჩაბარდა 4 ათასი ტონით მეტი ხორცი და 9 მილიონი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე ჩაბარებული იყო გასული წლის ამავე დროისათვის.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები მთელ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ მთლიანად შეასრულონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. ახლა კოლმეურნეობებში დიდი მუშაობა წარმოებს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად, იქმნება საკვების საჭირო მარაგი, შენდება და რემონტი უკეთდება შენობებს.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მუშაობენ იმისათვის, რომ განამტკიცონ კოლმეურნეობები კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით, აამაღლონ მათი ცოდნა, ფართოდ დანერგონ აგრონომიული მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

კოლმეურნეობათა გამსხვილებასთან დაკავშირებით უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობებია შექმნილი ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების უფრო სრულად გამოყენებისათვის. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ითვალისწინებენ რა მტს-ების გაზრდილ როლს როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მეცხოველეობაში, მუშაობენ იმაზე, რომ მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა პროცესის მაქსიმალური მექანიზაცია, გააუმჯობესონ ტექნიკის, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი საშუალების, გამოყენება.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ შეასრულონ მთავარი ამოცანა სოფლის მეურნეობაში — მნიშვნელოვნად გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, სწრაფად გაამრავლონ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და ამავე დროს მნიშვნელოვნად გაზარდონ მისი პროდუქტიულობა.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ახალ წარმატებებს მიაღწიონ სოფლის მეურნეობაში და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ჩვენი დიადი სამშობლოს — მტკიცე მშვიდობის ბურჯის ძლიერების განმტკიცების საქმეში.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

**საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი**
**მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. აფანასიევი**
**სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მოსკოვის ოლქში ი. სკაჩკოვი**
**მოსკოვის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ა. ლევიცკი**

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

# ჩვენ მშვიდობა გვინდა!

— ჩვენ მშვიდობა გვინდა, ჩვენ გვინდა ვიხილოთ სამგორის ბაღნარები, შვილსა და შვილიშვილს ვუამბოთ აქ ჩვენ მიერ გაწეული შრომის ამბავი. ჩვენ გვინდა უფრო მძლავრი იქნეს საბჭოთა სამშობლო. ამიტომ მხარს ვუჭერთ სტალინურ სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა და ბოლშევიკების პარტია ახორციელებენ. ამიტომ მხარს ვუჭერთ წინადადებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

ასე განაცხადეს მშენებლებმა აგიტატორების მიერ მოწყობილ საუბრებზე.

— მშვიდობის საქმეს ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის მოპოვებული ახალი შრომითი მიღწევებით განვამტკიცებთ,—ამბობენ მშენებლები და ამ სიტყვებს პირნათლადაც ანაღდებენ.

...მალე ივრის წყალი უნდა წამოვიდეს სამგორისაკენ. წყალს გზა უნდა — არხი, არხი კი დაბეტონებას საჭიროებს. ამიტომ ახლა სამგორში მებეტონეები განსაკუთრებულ პატივისცემაში არიან. მებეტონეთა ბრიგადები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან. მათი გადაწყვეტილებაა ის სამუშაო, რომელიც 3-4 თვის შემდეგ უნდა დაეწყოთ, მაგრამ უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვთ, უახლოეს ხანში მოათავონ.

ბეტონის ქარხნები ვერ აუდიან მებეტონეებს; საჭირო გახდა ბეტონსარევი დანადგარების დამატებით გამართვა, გაიზარდა მოთხოვნილება ცემენტსა და ბალასტზე. ცემენტი ბევრია, მისი მოზიდვა სიძნელეს არ წარმოადგენს, ხოლო ბალასტის ანუ ქვიშა-ხრეშის კარიერი მშენებლობიდან შორსაა, არსებული ავტოტრანსპორტი ვერ აუდის მის მოტანას. რამდენიმე დღის წინათ მშენებლობაზე წამოჭრილი ამ დაბრკოლების შესახებ მშენებლებმა საკითხი დააყენეს სამგორელი ავტომძღოლების წინაშე. — გექნებათ ბალასტი! იყო მებეტონეებისადმი ავტომძღოლების დაპირება.

მოწინავე ავტომძღოლებმა ი. ალადაშვილმა, ნ. ბალაშვილმა, ვ. არზამასოვმა, მ. ოგანოვმა, ს. ზარაფიშვილმა, ა. სამსონენკომ, ვ. სალთხუციშვილმა, ი. შიშკომ, ა. ყარყარაშვილმა და სხვებმა სტახანოვური ავტოკოლონა შექმნეს და იკისრეს მებეტონეთათვის ქვიშა-ხრეშის შეუფერხებლად მიწოდება.

ვინ მეტ რეისს გააკეთებს? ვინ მეტ ქვიშას და ხრეშს მიუტანს მშენებლებს იმისათვის, რომ უმოკლეს დროში მოხერხდეს სამგორისაკენ სარწყავი წყლის გამოშვება?

მეხუთე რეისიდან ყველას გაუსწრო ავტომძღოლ ნ. ბალაშვილის მანქანამ. მისი მანქანის რადიატორზე ამ დაწინაურების ნიშნად აფრიალდა პატარა წითელი ალამი. მეწინავე ავტომანქანას მალე წამოეწიენ ა. სამსონენკოს, ს. ზარაფიშვილის, ი. შიშკოს მანქანები.

ეს შეჯიბრება გადაიქცა ავტომძღოლთა მიღწევების დემონსტრაციად, ავტომანქანათა მოფიქრებულად ტარებაში მათი ოსტატობის გამოვლინებად. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ის ავტომძღოლი, რომელიც საუკეთესოდ უვლის თავის მანქანას, რომელიც მუდამ ზრუნავს მანქანის ტექნიკური გამართულობისათვის, მეტი ნაყოფიერებითაც მუშაობს. ისეთ მანძილზე, როგორზეც ამ ავტომანქანებს გადააქვთ ბალასტი, ერთ სამუშაო დღეში 10 რეისის შესრულება სარეკორდო მაჩვენებლად არის მიჩნეული.

მოწინავე სამგორელმა ავტომძღოლებმა ნ. ბალაშვილმა, ა. სამსონენკომ, ს. ზარაფიშვილმა, ი. შიშკომ და ი. ალადაშვილმა შეჯიბრების პირველ დღის თავიანთი თვითმცლელი ავტომანქანებით ათ-ათი რეისი გააკეთეს. კარგად იმუშავეს ვ. სალთხუციშვილმა (8 რეისი) და ვ. არზამასოვმა (7 რეისი).

უკვე ერთი კვირაა ეს მოწინავე სამგორელი ავტომძღოლები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან —

საყოველთაო მშვიდობის განსამტკიცებლად, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**დ. ლომთაძე**

## ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 700 ტონა ჩაის ფოთოლი

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 9 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. **ხელაძე** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ტაბიძე** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 60 ტონა ჩაის ფოთოლი

ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 6 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. **ვასაძე**, პარტბიუროს მდივანი ამხ. **ფასეიშვილი** და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ზომუაშვილი** იტყობინებიან, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 60 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის

### ელექტროარმატურა და მოწყობილობა

თბილისის პლასტმასის ქარხანას დაკისრებული აქვს კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის დაამზადოს სხვადასხვა ელექტროარმატურა და მოწყობილობა. ქარხნის კოლექტივი ენთუზიაზმით შეუდგა ამ დაკვეთების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ბრძოლას. უკვე დამზადებული და დანიშნულებისამებრ გაგზავნილია 3.120 ელექტროგანმანაწილებელი კოლოფი, აგრეთვე გერმეტიული ელექტროგაყვანილობისათვის საჭირო ამომრთველების და შტეპსელის როზეტების დიდი პარტია.

პლასტმასის ქარხანამ მიიღო დამატებითი დაკვეთა წლის ბოლომდე კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის 45.000 ცალი ელექტროგანმანაწილებელი კოლოფისა და 20.000 ამომრთველის დამზადების შესახებ.

### ლითონდასამუშავებელი დაზგები

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის ამზადებს სპეციალური და უნივერსალური ტიპის ლითონდასამუშავებელ დაზგებს. სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურების, „გლავგიდროვოლგოდონსტროის" და სხვა მშენებლობათა მისამართით ქარხნიდან უკვე გაგზავნეს პირველად დაკვეთილი დაზგების პარტია.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მშენებელთა დაკვეთა უმოკლეს დროში შეასრულოს.

## თელეთის მტს-მა წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

თელეთის მტს-მა 7 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური საწარმოო დავალება. რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნულია 17.205 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.000 ჰექტარისა. გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს იმ სატრაქტორო ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ჯამალაშვილი, ს. არუთინოვი და ს. სარუხანოვი ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტრაქტორისტები გ. კახელაშვილი, ა. მახნიაშვილი, ს. ასლამაზოვი, ვ. სარუხანოვი, პ. გონჩაროვი და გ. ლესენკო.

მტს-ის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოხნას 5.000 ჰექტარი.

## ინსტიტუტი ეხმარება კოლმეურნეობას

**თეთრი წყარო.** (საქ. კორ.). საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი შეფობას უწევს სოფელ ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა და სხვა კოლმეურნეთა შორის ხშირად აწყობენ საუბრებს პირუტყვის მოვლის წესების შესახებ, ამასთანავე პრაქტიკულ დახმარებასაც უწევენ.

ამ დღეებში კოლმეურნეობას ესტუმრა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მექანიზაციის კათედრის გამგე პროფესორი ა. კიზირია, დოცენტი ე. აბულაძე და სხვები. ბრიგადამ ადგილზე დაათვალიერა კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის ბინა და შეიმუშავა მისი მექანიზაციის გეგმა. ფერმის სრული მექანიზაცია (ავტომატური სარწყულებლების მოწყობა, ელექტროწველა, საკვების მიწოდების მექანიზაცია და სხვა) დამთავრდება მიმდინარე წლის დამლევამდე. სამუშაოს უშუალოდ უხელმძღვანელებენ პროფესორი ა. კიზირია და დოცენტი ე. აბულაძე.

## მოწინავე ავტოსატრანსპორტო კანტორა

პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ შეაჯამეს აღნიშნული სამინისტროს საწარმოებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები. მეორე კვარტალში შეჯიბრებაში კვლავ პირველობა მოიპოვა აჭარის ავტოსატრანსპორტო კანტორამ (უფროსი გ. თოდაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ხომერიკი, ადგილკომის თავმჯდომარე ა. ათოიანი).

კანტორის კოლექტივს მეორედ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

# ბრძანებულება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის და 1950 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებათა შესაბამისად **1950 წელს ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის,** როცა ამავე დროს კოლმეურნეობებმა შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, მტს-ის მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებანი და სრულად მოიმარაგეს ყველა კულტურის თესლი 1951 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, **დაჯილდოებულ იქნან:**

### შრომის წითელი დროშის ორდენით

22. **ყურშუბაძე** ხასან ისლამის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 81,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.650,3 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

23. **ქუჩულორია** კალისტრატე გიორგის-ძე — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 32,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.512 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

24. **მავროპულო** ოლგა ხარლამპის ასული — ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.047 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

25. **მანელიშვილი** რამიზ ახმედის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 2,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.505 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

26. **მგელაძე** ელპიდე ნიკოლოზის ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.669 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

27. **ოქროპირიძე** აიშე მამედის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.730 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

28. **ფირცხალიძე** ლუტბიე სულეიმანის ასული — ბათუმის რაიონის ტამოშენკოს სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.638 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

29. **სიჭინავა** დუნია ვასილის ასული — ცხაკაიას რაიონის უშაფათის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.364 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

30. **ტაკიძე** გულიკო ხუსეინის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.014 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

31. **ტაკიძე** ჩიტო მურადის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.384 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

32. **ტულუში** თამარ კუპრიანეს ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.797 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

33. **თურმანიძე** ჯემალ რეჯების-ძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.621,5 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

34. **თურმანიძე** სულეიმან ქამილის-ძე — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 14,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.626,8 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

35. **ხალვაში** ქაზიმ სულეიმანის-ძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3.2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.782,5 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

36. **ხახუტაშვილი** რეხიმე სკენდერის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.140 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

37. **ცინარიძე** ასიე მემედის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.281 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

38 **ცინარიძე** ასლან მემედის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.044,3 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

39. **წულუკიძე** ქესბრ სულეიმანის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.811 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

40. **ცხვიტავა** ელენე მიხეილის ასული — ცხაკაიას რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.420 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

41. **ჭითავა** ვარდიშა ამროსის ასული — ცხაკაიას რაიონის პირველი მაისის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.028 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

42. **ჩხარტიშვილი** გალინა სამსონის ასული — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.490,5 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

43. **შონია** გრიგოლ პავლეს-ძე — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 32,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 3.512 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

### მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ანდღულაძე** ფაცია ალისტრახის ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

2. **ბარამიძე** ულფეტ მევლუდის ასული — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. **ბასილაძე** ისლამ ხასანის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

4. **ბერიძე** იბრაიმ ასლანის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

5. **ბოკუჩავა** ხუტა სიმონის ასული — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **გაბელია** არტემ თეიმურაზის-ძე — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

7. **გაბელია** ლავრენტი საბას-ძე — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

8. **გაბელია** ლუბა კაზუს ასული — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

9. **გაბელია** ნატაშა მაქსიმეს ასული — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

10. **ლვინჯილია** დარია ფრიდონის ასული — ცხაკაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

11. **გოგიტიძე** ხურიე სულეიმანის ასული — ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

12. **გორჯელაძე** ოსმან რამიზის-ძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

13. **გორჯელაძე** ფადიმე სკენდერის ასული — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

14. **ჯაველიძე** ეფრემ ალექსის-ძე — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლეური.

15. **ჯანჯღავა** ალექსანდრე ძიკის-ძე — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

16. **ზოიძე** სამთერ ხუსეინის ასული — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

17. **ინწკირველი** ალისტრახ ლუკას-ძე — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ ბრიგადირი.

18. **ინწკირველი** ვალერიან ფილიპეს-ძე — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარე.

19. **იოსიფიდი** ქრისტეფორე გიორგის-ძე — ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

20. **კბილიანიშვილი** შურა გიორგის ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

21. **კონცელიძე** ასლან მამუდის-ძე — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

22. **კორშია** თამარ ბათლომეს ასული — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

23. **კუკალია** ნათელა გალაქტიონის ასული — სამტრედიის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.

24. **ყურშუბაძე** აიშე დავითის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

25. **ყურშუბაძე** საიმე მემედის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

26. **ქუჩულორია** დავით ალექსის-ძე — ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.

27. **ლამპარაძე** რეხიმე რამიზის ასული — ქობულეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 215.

# საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი

ამა წლის 11 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი ბრიონვალი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება:

„საბჭოთა მთავრობამ თავის 1950 წლის 15 დეკემბრისა და 1951 წლის 20 იანვრის ნოტებით უკვე მიაქცია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება იმას, რომ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა დასავლეთ გერმანიის მიმართ, რაც ხელ-ფეხს უხსნის გერმანელ რევანშისტებს, ძირს უთხრის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წლის 10 დეკემბრის კავშირისა და ურთიერთდახმარების იმ ხელშეკრულების საფუძვლებსა და მნიშვნელობას, რომლის თანახმადაც ორივე მთავრობამ იკისრა ვალდებულება „ერთობლივად მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება გერმანიისაგან წარმოშობილი ყოველგვარი ახალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად და წინააღმდეგობა გაუწიონ ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლოს გახდის აგრესიის ყოველ ახალ ცდას გერმანიის მხრივ“. საფრანგეთის მთავრობის ასეთი პოლიტიკა გერმანიის საკითხში აგრეთვე აშკარად ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომლებსაც საფრანგეთი შეუერთდა.

ამჟამად სავსებით გამოირკვა, რომ ის ღონისძიებანი, რომლებსაც საფრანგეთის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან ერთად ახორციელებს, არა მარტო ეწინააღმდეგებიან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასა და პოტსდამის შეთანხმებას, არამედ აგრეთვე ქმნიან გერმანიის აგრესიის განმეორების საფრთხეს. ამ ღონისძიებებს დასავლეთ გერმანიის აგრესიულ ძალებთან სამხედრო კავშირის აშკარა მომზადების ხასიათი აქვთ.

ამას მოწმობს როგორც საფრანგეთის მთავრობის მიერ წამოყენებული „პლევენის გეგმა“, რომელიც იწვევს გერმანიის რეგულარული არმიის აღდგენას ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, ისე „შუმანის გეგმა“, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს და რომელიც ნიშნავს დასავლეთ გერმანიაში სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღდგენას. როგორც „პლევენის გეგმა“, ისე „შუმანის გეგმაც“ საქმით იწვევენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, რაც არ შეესაბამება ევროპაში მშვიდობის ინტერესებს და რასაც გმობს თვით გერმანელი ხალხი, რომელსაც არა სურს გახდეს იარაღი სხვისი გეგმების განხორციელებაში, რომლებიც ამასთან აგრესიულ მიზნებს ისახავენ.

1. ახლა ყველა ხედავს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი, რომელსაც მეთაურობენ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, სულ ახალ-ახალ ნაბიჯს დგამს იმისათვის, რომ ევროპაში თავის განკარგულებაში იყოლიოს რაც შეიძლება მეტი შეიარაღებული ძალები და ჰქონიოს რაც შეიძლება მეტი სამხედრო ბაზები, თუმცა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ქვეყნებს არავინ არ ემუქრება. ეს იმას მოწმობს, რომ ეს სამხედრო კავშირი ისახავს აგრესიულ მიზნებს, რომ იგი ამზადებს ახალ ომს,—ომს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით სახელმწიფოთა ინგლის-ამერიკის ბლოკისათვის მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოლაპარაკებას ეწევა ფრანკოსთანაც კი და ცდილობს ამ მიზნით გამოიყენოს ესპანელი ფაშისტების ჯარებიც. მაგრამ მთავარ ამოცანად დასახულია ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეიყვანონ გერმანიის რეგულარული არმია, რომელსაც ახლა დასავლეთ გერმანიაში აღადგენენ.

ახლა აგრეთვე ჩანს, რომ რეგულარული არმიის აღდგენა დასავლეთ გერმანიაში, სადაც ძალაუფლება ისეთი რევანშისტების ხელშია, როგორიც არიან ადენაუერი, კაიზერი, შუმახერი და სხვები, კანონიერ უნდობლობასა და უკმაყოფილებას იწვევს ევროპის ყველა ქვეყანაში. ამიტომ ცდილობენ გერმანიის არმიის აღდგენა დასავლეთ გერმანიაში განახორციელონ კამუფლაჟის საშუალებებით. სწორედ ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა „პლევენის გეგმა“, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა 1950 წლის 24 ოქტომბერს, ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ, რომელიც აერთიანებს დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის ჯარებს და რომელშიც შემადგენელ ნაწილად შეჰყავთ გერმანიის არმია, დასავლეთ გერმანიაში რომ ადგენენ. ცდილობენ შთაგვაგონონ, რომ თუ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ახლად იქმნება, ასეთი გაერთიანებული არმიის შემადგენლობაში შევლენ, ეს თითქოს არ იქნება გერმანიის არმიის აღორძინების მომასწავებელი. მაგრამ იმ ხალხების სიფხიზლის მიძინების ასეთი საშუალება, რომელთაც არა სურთ მხარი დაუჭირონ ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკას, მხილებულ იქნება, როგორც ვერაგული ხერხი ხალხთა მოტყუების საქმეში.

„პლევენის გეგმას“ მიაწერენ საფრანგეთის მთავრობას, მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ამ გეგმას ეფარება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც ცდილობს ყოველგვარი საშუალებით გაადიდოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა, რომლებიც დასაყრდენია ევროპაში ამერიკის აგრესიული გეგმების განსახორციელებლად.

„პლევენის გეგმის“ თანახმად, დასავლეთ გერმანიის რეგულარული არმია არ უნდა არსებობდეს როგორც თავისთავადი, დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი არმია. „პლევენის გეგმით“ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები უნდა იყონ მხოლოდ ნაწილი დასავლეთ ევროპის გაერთიანებული არმიისა, რომელშიც შევლენ აგრეთვე საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ლუქსემბურგის ჯარები, მაგრამ უკვე ახლა ცნობილია, რომ „თანასწორუფლებიანობის“ საბაბით გუშინდელი ჰიტლერელი გენერლები ცდილობენ მათ მიერ შექმნილ ჯარებს გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვონ დასავლეთ ევროპის ასეთი არმიის შემადგენლობაში. ამ საქმეში მათ მხარს უჭერს ევროპაში ამერიკის მილიტარიზმის ისეთი წარმომადგენელი, როგორიცაა ეიზენჰაუერი, რომელიც უკვე ახლანდელ მშვიდობიან დროს დანიშნულია ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ჯარების მთავარსარდლად.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში პარიზში წარმოებდა საიდუმლო სამხედრო მოლაპარაკება საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგის წარმომადგენლებისა დასავლეთ გერმანიის ადენაუერის მთავრობის წარმომადგენლებთან, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მონაწილეობით, დასავლეთ ევროპის არმიის შემადგენლობაში დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხზე. ამა წლის 24 ივლისს გამოქვეყნებული კომუნიკედან ჩანს, რომ ამ თათბირზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნასა და დასავლეთ ევროპის არმიაში მათ შეყვანასთან, როგორიცაა შეიარაღების სტანდარტიზაცია და სამხედრო წარმოების სპეციალიზაცია, ამ არმიის დაფინანსების წესი და მომარაგების სისტემა და ა. შ.

პარიზის თათბირის ერთდროულად, პეტერსბერგში (დასავლეთი გერმანია) წარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლების მოლაპარაკება ყოფილ ჰიტლერელ გენერლებთან ჰოიზინგერთან და შპაიდელთან, ბონის მთავრობის ახლანდელ სამხედრო მრჩევლებთან. ამ მოლაპარაკების შედეგად, როგორც პრესაში გამოქვეყნებული ცნობებიდან გამოირკვა, უკვე მიღწეულია შეთანხმება შეიქმნას დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები დასავლეთ გერმანიის 12 დივიზიის შემადგენლობით და 250 ათასი ჯარისკაცის რაოდენობით, ამასთან ქმნიან დასავლეთ გერმანიის სპეციალურ სატანკო და საავიაციო ნაწილებს.

ამით გადადგმულია გადამწყვეტი ნაბიჯი გერმანიის რეგულარული არმიის ასაღორძინებლად. ამ არმიას სულს უდგამენ გერმანელი რევანშისტები და მეთაურობენ ჰიტლერელი გენერლები, რომლებიც, რასაკვირველია, არ შეჩერდებიან შუაგზაზე და გერმანიის მილიტარიზმის აგრესიული ძლიერების აღსადგენად გამოიყენებენ გერმანიის დემილიტარიზაციაზე საფრანგეთის მიერ უარის თქმას. დღეს დასავლეთ გერმანიის არმია იქნება ორას ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით, ხოლო ხვალ იგი რამდენჯერმე გაიზრდება, თუმცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გამოდის მშვიდობის მომხრედ, გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ „პლევენის გეგმა“ გერმანიის მილიტარიზმის ლეგალიზაციის გზაა, რომელიც იწვევს ევროპაში ახალი ომის საფრთხეს.

აქედან გამომდინარეობს, რომ „პლევენის გეგმა“ „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ, რომელსაც სულს უდგამს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, მაგრამ რომელშიც მონაწილეობას არ იღებს ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, წარმოადგენს ევროპაში მშვიდობის საშიშ საფრთხეს და შეურიგებლად ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც საფრანგეთს აკისრია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ევროპაში გერმანიის ახალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად ერთობლივი მოქმედების შესახებ, აგრეთვე საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია პოტსდამის შეთანხმებით გერმანიის დემილიტარიზაციის განხორციელების შესახებ.

2. ფაქტები მოწმობენ, რომ „პლევენის გეგმის“, რომელიც გზას უხსნის გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას, პირდაპირი დამატებაა „შუმანის გეგმა“, რომელიც იწვევს სამხედრო მრეწველობის აღდგენას დასავლეთ გერმანიაში.

„პლევენის გეგმით“ დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა ქმნის გაერთიანებულ არმიას, რომელშიც გაბატონებული როლი აუცილებლად ექნებათ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს. ამის მსგავსად, ეგრეთწოდებული „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ მოწყობის შედეგად, რომელიც „შუმანის გეგმით“ რურის მძიმე მრეწველობას აერთიანებს საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მძიმე მრეწველობასთან, იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც რურის მრეწველობის მაგნატებისათვის უზრუნველყოფენ უპირატეს მდგომარეობას დასავლეთ ევროპაში იარაღისა და სამხედრო საჭურვლის წარმოებაში. ეს, თავის მხრივ, შეესაბამება იმ ამერიკული მონოპოლიების მიზნებს, რომლებმაც დასავლეთ გერმანიაში ოკუპაციის რეჟიმი იმისათვის გამოიყენეს, რომ ღრმად შეეღწიათ გერმანიის ტრესტებსა და კარტელებში და დაეინტერესებინათ ისინი თავიანთი აგრესიული გეგმების განხორციელებით.

საფრანგეთის მთავრობამ დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან და იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობებთან ერთად ამა წლის 18 აპრილს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნის შესახებ, რაც ცნობილია, როგორც „შუმანის გეგმა“. ამზადებდა რა ამ გეგმის განხორციელებას, ბ-ნი შუმანი ამბობდა, რომ „ევროპის ქვეყნების ქვანახშირისა და ფოლადის რესურსების გაერთიანების გეგმას შეუძლია გაკაფოს გზა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის: გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ბელგიას, ჰოლანდიას, ლუქსემბურგს შორის სამხედრო თანამშრომლობისათვის“.

ბ-ნ შუმანის ეს განცხადება განხილულ უნდა იქნას, როგორც იმის აღიარება, რომ აღნიშნული ქვეყნების ქვანახშირისა და ფოლადსამსხმელო მრეწველობის გაერთიანების გეგმა სამხედრო მიზნებს ისახავს.

ეს გეგმა გვერდს უვლის გერმანიის სამშვიდობო ეკონომიკის საჭიროებას. იგი ისახავს საწინააღმდეგო მიზნებს: მსოფლიო ეკონომიკის ხარჯზე გაბერონ სამხედრო წარმოება, რურის მძიმე მრეწველობა დაუმორჩილონ იმ აგრესიულ სახელმწიფოთა გეგმებს, რომლებიც ევროპაში ახალ ომს ამზადებენ. ამ საქმეში აგრესიულ ქვეყნებს მხარს უჭერენ რურის მძიმე მრეწველობის მაგნატები, რომლებიც როგორც კაიზერის, ისე ჰიტლერული გაუმაძღარი იმპერიალიზმის მთავარი დასაყრდენი იყვნენ.

ამჟამად დასავლეთ გერმანიაში კვლავ ამა თუ იმ სახით აღორძინდნენ ძველი კაპიტალისტური მონოპოლიები, რომლებმაც ამერიკის გავლენიან მონოპოლიებთან შეთანხმებით უკვე დაუმორჩილეს თავიანთ ინტერესებს დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი. რამდენიმე ხნის წინათ გამოცხადდა ქვანახშირ-ფოლადის 24 მსხვილი გაერთიანების შექმნა, ამასთან ისეთ გერმანელ მონოპოლისტებს, როგორიც არიან კრუპი, ფლიკი, პფერდმენჯესი და სხვები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ პარპაშობდნენ ჰიტლერელთა მიერ ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებ[illegible] ძველი პრივილეგიები და აღადგინეს მათი გაბა[illegible] დასავლეთ გერმანიის მრეწველობის ბევრ დარგში. „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნით ეს ვაჟბატონები თავიანთ კონტროლს დააწესებენ სხვა სახელმწიფოების მრეწველობისადმი, რომლებიც ამ „ევროპის გაერთიანებაში“ შედიან, რაც უფრო გააძლიერებს მშრომელთა ექსპლოატაციას ამ ქვეყნებში.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ პოტსდამის შეთანხმებას გერმანიაში სამხედრო მრეწველობის აკრძალვისა და გერმანიის იმ მონოპოლიების ლიკვიდაციის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის, უხეშად არღვევენ და ფეხქვეშ თელავენ ის სახელმწიფოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გერმანიის დასავლეთი ნაწილის ოკუპაციისათვის. „შუმანის გეგმა“, რომელიც იწვევს დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მრეწველობის აღდგენას და ხელს უწყობს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის დაჩქარებას, ლეგალურს ხდის იმ გერმანული იმპერიალიზმის აღორძინების გზებს, რომლის აგრესიულობაც ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის.

3. ხალხთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი. საფრანგეთის ხალხს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ხალხებს, არ შეუძლიათ დაივიწყონ გადატანილი უბედურება და დანაკლისი. ევროპის ხალხებმა ფიცი დადეს არ დაუშვან მესამე მსოფლიო ომი და აღკვეთონ გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობა. მათ ახსოვთ პირველი და მეორე მსოფლიო ომების გაკვეთილები.

ყველას ახსოვს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა უკანასკნელი მსოფლიო ომის წინა პერიოდში, როცა ამერიკის მმართველმა წრეებმა და ამერიკის მონოპოლიებმა ხელი შეუწყეს გერმანიის აგრესიის სამხედრო-ეკონომიური ბაზის შექმნას და ამრიგად შეაიარაღეს ეს აგრესია. ყველას ახსოვს ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების პოლიტიკა, რომელმაც იმ პერიოდში დაარღვია აგრესიის წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ფრონტი და გაუადვილა ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების შესაძლებლობა.

ამჟამად საფრანგეთის მთავრობამ, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ძველ გზაზე გადაუხვიეს. ისინი ვარაუდობენ გამოიყენონ გერმანიის მილიტარიზმი ახალი ომის მომზადების მიზნით იმის ანალოგიურად, როგორც ისინი ამას ცდილობდნენ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. მაგრამ ასეთი ვარაუდი უკვე ჩაიშალა წარსულში, ამასთან სწორედ საფრანგეთს ძვირად დაუჯდა თავისი მცდარი პოლიტიკა, რადგან განიცადა ხანგრძლივი ოკუპაცია გერმანიის მიერ. საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკამ, ისე როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკამ, რამაც ყველაზე მკაფიო გამოხატულება მეორე მსოფლიო ომის წინ ჰპოვა ჰიტლერულ გერმანიასთან მიუნხენის შეთანხმებით, როგორც ცნობილია, გაფუჭა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1935 წლის ხელშეკრულება, რომელიც ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი საფუძველი იყო, რამაც შესაძლებლობა მისცა გერმანელ მილიტარისტებს გაეჩაღებინათ მეორე მსოფლიო ომი. ახლანდელ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხალხები, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ერთად უნდა იყონ მშვიდობის დაცვის საქმეში და არ უნდა დაუშვან ხალხთა მეგობრობის შესუსტება.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საფრანგეთის მთავრობის იმ ახლანდელი პოლიტიკის შედეგებს, რომელიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისაკენ და დასავლეთ გერმანიაში აგრესიულ ძალებთან სამხედრო კავშირის შექმნისაკენ.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია კვლავ გააფრთხილოს საფრანგეთის მთავრობა იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მას ეკისრება შექმნილი მდგომარეობისათვის, და იქიდან გამომდინარე შედეგებისათვის“.

# სტუდენტთა მეცნიერული შრომები

სასწავლო წლის დაწყებიდანვე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებებმა განაახლეს თავიანთი მუშაობა. ეს საზოგადოებები მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სამოცდაათამდეა. სტუდენტები სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობენ მნიშვნელოვან გამოკვლევებზე.

უფროსკურსელი სტუდენტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობენ სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურებისათვის, თურქმენეთის მთავარი არხისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხისათვის ახალი კონსტრუქციის ულტრახმოვანი ხელსაწყოების შესაქმნელად. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები მიძღვნილია ახალი ტიპის მძლავრი ტრანსფორმატორებისადმი. ს. ორჯონიკიძის სახელობის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტის უფროსკურსელები ასრულებენ მაღალ ნაგებობათა მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებულ შრომებს.

სულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა 25 ათასზე მეტი მოსკოველი სტუდენტი. (საქტასი).

# რუმინელ გლეხთა დელეგაციის მიღება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში

საბჭოთა კავშირში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაცია. ჯგუფებად დაყოფილი დელეგაცია ეწვია საქართველოს სს რესპუბლიკას, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას, ჩრდილოეთ კავკასიას, კოსტრომის, ივანოვოს, გორკისა და ვლადიმირის ოლქებს. სტუმრებს ფართო შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სამეცნიერო-საკვლევო და საცდელი დაწესებულებების მუშაობას.

11 სექტემბერს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოეწყო რუმინელ გლეხთა დელეგაციის მიღება.

დელეგაციის ხელმძღვანელმა მარტინ დისაკმა, დელეგაციის წევრებმა ტეოდორ ბეტრუკმა, იოან გავრილიმ, ელენე მინიამ და სტეფანე ბადიამ სიტყვები წარმოთქვეს და აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირში მათ შეხვდნენ გულწრფელად და მეგობრულად, რაც სამუდამოდ დარჩება მათს მეხსიერებაში როგორც საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის ურღვევი მეგობრობის დადასტურება. რუმინელმა სტუმრებმა ილაპარაკეს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ი. ა. ბენედიქტოვმა უპასუხა რუმინელ სტუმრებს—მათთვის საინტერესო კითხვებზე. (საქტასი).

# ჟურნალ „მნათობის" ერთი სტატიის შესახებ

ჟურნალ „მნათობის" 1950 წლის მე-11 ნომერში დაბეჭდილია ამხ. აქბარდიას წერილი „ჭეშმარიტების ბუნების გაგების საკითხისათვის". ავტორის მიზანი—წერილი დაეწერა აღნიშნულ საკითხზე — ნაკარნახევი ყოფილა იმით, რომ თურმე „ფილოსოფიურ ლიტერატურაში, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში გამოვიდა ჩვენში (განსაკუთრებით ლოგიკის სახელმძღვანელოებში), მოცემულია ჭეშმარიტების ისეთი განსაზღვრებანი, რომლებიც ძალზე ნებისმიერია და აშკარად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტების მარქსისტულ-ლენინურ ფორმულირებას".

ამხ. აქბარდია მიზნად ისახავს გააქარწყლოს ეს მცდარი შეხედულებანი და მოგვცეს ჭეშმარიტების საკითხის ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური გაგება.

სამწუხაროდ, ეს მიზანი განუხორციელებელი რჩება. ავტორი ისეთ აზრებს იცავს, რომლებსაც მარქსიზმ-ლენინიზმთან საერთო არაფერი აქვთ.

ასახვის ლენინური თეორიის მიხედვით ჭეშმარიტება არის სინამდვილის ადეკვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე ობიექტური რეალობაა, მატერიაა. პრაქტიკის პროცესში ეს ობიექტური რეალობა, მოქმედებს რა ადამიანის გრძნობის ორგანოებზე, აისახება მის შეგრძნებებში, აღქმებში, წარმოდგენებში, გადამუშავდება აზროვნებაში ცნებების, მსჯელობების და სხვათა სახით. ობიექტური რეალობა არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ცნობიერება არსებობს როგორც ასახვა ამ ობიექტური რეალობისა. სხვა სახით მას არსებობა არ შეუძლია. ყველაფერი ის, რაც ადამიანის ცნობიერებაშია, სინამდვილის მასალიდან აიგება. ამიტომ მცდარი აზრებიც და ჭეშმარიტიც, რელიგიური და ფანტასტიკური წარმოდგენებიც ისევე, როგორც ზუსტი მეცნიერული თეორიებიც, საბოლოოდ სინამდვილის მასალით არის განსაზღვრული.

ჭეშმარიტება ობიექტური სინამდვილის ასახვაა **ჩვენს ცნობიერებაში, ადამიანის აზროვნებაში.** ჭეშმარიტება და შეცდომა ცნობიერების, აზრის ნიშანია, მისი დამახასიათებელია. ჭეშმარიტება და მცდარობა ობიექტურ რეალობას, სინამდვილის საგნებს, მატერიას კი არ ახასიათებს, არამედ მათ ასახვას, მათ „სურათს", რომელიც ცნობიერებაშია, აზრშია.

მაგრამ ადამიანს უამრავი წარმოდგენა, უამრავი აზრი გააჩნია; ყველა ხომ არ არის ჭეშმარიტი? რასაკვირველია, არა! მხოლოდ ის აზრი, მხოლოდ ის წარმოდგენა არის ჭეშმარიტი, რომელიც ობიექტური საგნით არის ადეკვატურად განსაზღვრული; ის წარმოდგენაა ჭეშმარიტი, რომელიც ადამიანმა, კაცობრიობამ კი არ შეთხზა, არამედ საგანმა განსაზღვრა; ის წარმოდგენა, აზრია ჭეშმარიტი, რომელიც საგნის ასახვას გვაძლევს ადამიანის, კაცობრიობის ცნობიერების მიერ შეთხზული დანამატის გარეშე.

სწორედ ამას ამბობს ლენინი, როდესაც ჭეშმარიტებას განსაზღვრავს, როგორც **ჩვენს ისეთ წარმოდგენებს, რომლის შინაარსი** დამოუკიდებელია ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან. ჩვენი წარმოდგენების **შინაარსი** არის სწორედ ასახვა, სურათი, და არა თვით ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ჩვენი წარმოდგენების გარეშე და ჩვენი წარმოდგენებისაგან დამოუკიდებლად.

ამ ნათელსა და გარკვეულ მოძღვრებას ჭეშმარიტების შესახებ ამხ. აქბარდია საკამათოდ ხდის. მისი აზრით, ჭეშმარიტება და შეცდომა აზრს კი არ ახასიათებს, არამედ ობიექტურ რეალობას; იგი აცხადებს, რომ ჭეშმარიტება იგივეა, რაც ობიექტური რეალობა.

ამხ. აქბარდია იწყებს ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრით. მისი აზრით, ჭეშმარიტების ყველაზე არსებითი განსაზღვრა ასეთია: „დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით ჭეშმარიტება ობიექტურია, ე. ი. დამოუკიდებელია შემმეცნებლისაგან, საერთოდ კაცობრიობისაგან"[1]). ასეთი განსაზღვრა, ცხადია, არ არის მარქსისტული. ობიექტური ბევრი რამ არის, მაგრამ ყველაფერი ჭეშმარიტება კი არ არის. ლენინი განსაზღვრავს ჭეშმარიტებას, როგორც სინამდვილის ასახვას ადამიანის ცნობიერებაში, როგორც წარმოდგენის შინაარსს და აღნიშნავს, რომ ეს ასახვა, შინაარსი ობიექტური მნიშვნელობის მქონეა, ობიექტურია.

ამხ. აქბარდიამ ვერ გაიგო რას ნიშნავს გამოთქმა „კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი", და გადაწყვიტა, რომ „კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი" ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტება და შეცდომა აზრს კი არ ახასიათებს, არამედ ობიექტურ რეალობას. ის დებულება, რომ ჭეშმარიტება და შეცდომა ცნობიერებას, აზრს ახასიათებს, ამხ. აქბარდიას იდეალიზმად მიაჩნია. „...იდეალისტური ფილოსოფიისათვის ჭეშმარიტება ისევე როგორც შეცდომა, შეიძლება მხოლოდ აზრში არსებობდეს"[2]).

ის დებულება, რომ ჭეშმარიტება აზრის დამახასიათებელი არ არის, არამედ ობიექტური სინამდვილის დამახასიათებელია, შეიძლება ობიექტურმა იდეალისტმა ან ვულგარულმა მატერიალისტმაც გაიზიაროს. ჰეგელისათვის ჭეშმარიტება ადამიანის აზრის გარეშეა, ობიექტურ სინამდვილეშია, რადგან ეს უკანასკნელი თვითონ არის აზრი, გონება. ასევე შეიძლება დადგეს ამ თვალსაზრისზე ვულგარული მატერიალისტი, რადგან მან წაშალა განსხვავება მატერიასა და ცნობიერებას შორის და ცნობიერებაც მატერიად გამოაცხადა.

საგნები არსებობენ თავისთავად, ცნობიერებისაგან, აზრისაგან დამოუკიდებლად; რაც შეეხება „თეორიას" იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება არსებობს თავისთავად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ეს არის პლატონიზმი, მეოცე საუკუნეში ჰუსერლის მიერ აღორძინებული.

შეიცნობს სინამდვილეს და ცდება **ადამიანი**, ადამიანის ცნობიერება, მისი აზრი. შემმეცნებლისაგან დამოუკიდებლად არსებობს ობიექტური რეალობა, მატერიალური სამყარო, რომელსაც ის ადეკვატურად **ასახავს** ან, რომელსაც ის დამახინჯებულად ასახავს; პირველ შემთხვევაში მისი აღქმა, წარმოდგენა, აზრი **ჭეშმარიტია**, მეორე შემთხვევაში მისი აღქმა, წარმოდგენა, აზრი **მცდარია**.

ამხ. აქბარდიას შეეძლია თავი გაამართლოს იმით, რომ მას თავის სტატიაში აქვს სწორი დებულებებიც ჭეშმარიტების საკითხზე. მაგალითად, ის წერს: „ადამიანის წარმოდგენა, აზრი (სურათი) არ შეიძლება არსებობდეს ობიექტურად, ადამიანისაგან დამოუკიდებლად"[3]). მაგრამ ეს დებულება ხომ ეწინააღმდეგება ზემოთ წამოყენებულ დებულებებს, რომ ჭეშმარიტება ობიექტური რეალობაა, რომ აზრი ობიექტურად არსებობს.

ავტორი ყოველ გვერდზე თავისთავს ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც: თვითეულ წინადადებაში ეწინააღმდეგება თავის თავს; მაგალითად, ავტორი წერს, რომ ჭეშმარიტება ასახვაა (ამის არ თქმა არ შეიძლება, რადგან მთელ თეორიას **ასახვის** ლენინური თეორია ეწოდება) და ამავე დროს უმატებს, რომ ჭეშმარიტება ობიექტურად, ასახვისაგან დამოუკიდებლად არსებობს[4]). ანდა: „მოაზრებული საგანი და რეალურად არსებული საგანი შეესაბამებიან ერთმანეთს, ერთი და იგივე არიან"[5]). მივაქციოთ ყურადღება გამოთქმას **„შეესაბამებიან ერთმანეთს"** და **„ერთი და იგივე არიან"**. თუ ერთი და იგივეა, ე. ი. **ერთია**, რაღა შესაბამისობაზეა ლაპარაკი, თუ შეესაბამებიან (შესაბამება ყოველ შემთხვევაში **ორს** მაინც მოითხოვს), რაღა **ერთია**. ჩვენ ვფიქრობთ, იქნებ ეს უკანასკნელი გაუგებრობა დაედო საფუძვლად ამხ. აქბარდიას მთავარ შეცდომას — შესაბამობა და იგივეობა მან ვერ გაარჩია ერთმანეთისაგან. რადგან ჭეშმარიტება შესაბამება ობიექტურ რეალობას, ამიტომ მან დაასკვნა, რომ ჭეშმარიტება და ობიექტური რეალობა ერთი და იგივეა.

ვფიქრობთ, ჟურნალ „მნათობის" რედაქცია მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს წერილებს, რომლებშიც განხილულია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპები და არ დაუშვას თავის ფურცლებზე ამ პრინციპების დამახინჯება.

**ქ. ბაქრაძე**

[1]) „მნათობი" № 11, 1950 წ. გვ. 98.
[2]) გვ. 98.
[3]) გვ. 105.
[4]) გვ. 109.
[5]) გვ. 111.

# სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

(ოპერატიული ცნობები)

## პურეულის აღება

10 სექტემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში აღებული იყო 372.145 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი, რესპუბლიკური გეგმის 97,5 პროცენტი.

სამხრეთ ოსეთში გეგმა 90,6 პროცენტით არის შესრულებული, ახალქალაქის რაიონში—89,4, ბოგდანოვკის—85,7, ასპინძის—98,8, ბორჯომის—84,8, წალკის—87,3, დუშეთის — 93,9, ყაზბეგის—39,3, ქვემო სვანეთის — 94,3, ზემო სვანეთის—96,3, ქლუხორის რაიონში—95,6 პროცენტით.

—o—

## გალეწილია 313.624 ჰექტარის მოსავალი

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აღებული მოსავლიდან 10 სექტემბრისათვის გალეწილია 313.624 ჰექტარის მოსავალი, გეგმის 84,3 პროცენტი. აღებული მოსავალი მთლიანად გალეწილია აფხაზეთსა და 25 რაიონში.

გეგმა 90-ზე მეტი პროცენტით არის შესრულებული ორჯონიკიძის, ჭიათურის, წულუკიძის, მარნეულის, გარდაბნის, მცხეთის, თბილისის გარეუბნის, ლაგოდეხის, კასპისა და გორის რაიონებში.

ლეწვის გეგმა ახალქალაქის რაიონში მხოლოდ 25,9 პროცენტით არის შესრულებული, ბოგდანოვკის რაიონში—12,7, ასპინძის—42,2, წალკის — 33,7, ბორჯომის რაიონში—45,7 პროცენტით.

—o—

## სიმინდის ტეხა

საქართველოს კოლმეურნეობებში 10 სექტემბრისათვის აღებულია 16.864 ჰექტარი სიმინდის მოსავალი. სიმინდის ტეხა დაწყებულია 28 რაიონში.

წითელწყაროს რაიონში აღებულია 2.710 ჰექტარი სიმინდი, ხაშურის რაიონში—2.367, ქარელის—1.913, სიღნაღის—1.129, თერჯოლის—1.120, ზესტაფონის რაიონში—943 ჰექტარი და სხვ.

—o—

## შეტეხილია 99.382.478 ზონარმეტრი თამბაქო

სექტემბრის მეორე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა 8 მილიონზე მეტი ზონარმეტრი თამბაქო შეტეხეს. სულ 10 სექტემბრისათვის შეტეხილია 99.382.478 ზონარმეტრი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 80,3 პროცენტით.

მარნეულის რაიონში დავალება 111,9 პროცენტით არის შესრულებული, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 77,3, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 78.8, ლაგოდეხის რაიონში—83,2 პროცენტით.

—o—

## საშემოდგომო თესვა

10 სექტემბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დათესილია 3.787 ჰექტარი ხორბალი, აქედან ახალქალაქის რაიონში—1.825, გორის—406, ქარელის—416, ახმეტის—160, თბილისის გარეუბნის—156, დმანისის რაიონში — 220 ჰექტარი.

# უხვი მოსავლის ოსტატები

გორის რაიონის კოლმეურნეებს ბევრჯერ მიუღიათ პურის სანაქებო მოსავალი, მაგრამ ისეთი უხვი მოსავალი, როგორიც წელს მიიღეს, აქ არავის ახსოვს.

სოფელ ზედდუცეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე აგრონომი თედო აღავერდაშვილი) ხორბლის კულტურას მთავარი ადგილი უკავია. აქ აგრეთვე შაქრის ჭარხლის, ხილის, სიმინდის და ბოსტნეული კულტურების კარგი მოსავალი მოჰყავთ. აქაური სახნავ-სათესი მიწა წინათ მცირემოსავლიანად ითვლებოდა. კოლმეურნეებმა ფართოდ გამოიყენეს მექანიზაცია, მინერალური და ორგანული სასუქებით გაანოყიერეს ნიადაგი, ჯიჯილები მორწყეს. შედეგი შესანიშნავია: 850 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 16 ცენტნერი ხორბალი.

ბრიგადირმა დავით აჭკარუნაშვილმა მოსავლელად მიჩენილი 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,5 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. გეგმა კი 14 ცენტნერს ითვალისწინებდა. მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც გაიოზ ცერცვაძე ხელმძღვანელობს, 78 ჰექტარზე საშუალოდ 18,5 ცენტნერი პური მიიღო, ხოლო ბრიგადირმა გიორგი ვართუმაშვილმა 65 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 17,5 ცენტნერი.

კოლმეურნეობამ პირნათლად მოიხადა პატრიოტული ვალი სახელმწიფოს წინაშე და პირველი განალეწიდან დროულად შეასრულა პურის სავალდებულო ჩაბარების გეგმა. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია რამდენიმე ათეული ტონა პური. კოლმეურნეობამ გამოჰყო სათესლე მასალა და საჭირო ფონდები, შემდეგ კი ავანსად მისცა პური კოლმეურნეებს. შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება შრომადღის ხვედრი. მოწინავე კოლმეურნემ დიმიტრი ვართუმაშვილმა ავანსად 1.200 კილოგრამი პური მიიღო, დავით თათრიშვილმა — 1.160 კილოგრამი, ილია რაზმაძემ—900 კილოგრამი. წლის ბოლოს აქ შრომადღეზე 10 კილოგრამზე მეტ მარცვლეულს მიიღებენ.

მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკის დანერგვით, მექანიზაციის, სასუქებისა და სარწყავი სისტემის გამოყენებით პურის საუკეთესო მოსავალი მიიღეს სოფელ ხურვალეთის კოლმეურნეებმა. მათ კომბაინებით შემჭიდროებულ ვადებში აიღეს მოსავალი. კოლმეურნეობამ პირველი განალეწიდან გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო ვალდებულება.

უხვი მოსავლის ოსტატმა, ბრიგადირმა ნიკოლოზ ხუროშვილმა ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 17,5 ცენტნერი პური მოიყვანა, ვლადიმერ ქერდიკოშვილის ბრიგადამ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—19,72 ცენტნერი, [illegible]შვილის ბრიგადამ—18,18 ცენტნერი, ხოლო ელიზბარ ადიკაშვილის ბრიგადამ 17,65 ცენტნერი. კოლმეურნეობამ სულ 255 ჰექტარი პურეულის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 16,5 ცენტნერზე მეტი პური მიიღო. დოვლათით ივსება კოლმეურნეთა ოჯახები. კოლმეურნე ელ. ბოლოთაშვილმა შრომადღეზე ავანსად მიიღო 1.472 კილოგრამი პური, ვ. გუჩაშვილმა — 1.380, ალ. ხაჩირაშვილმა — 1.426, ვ. მეკნიაშვილმა — 1.334 კილოგრამი. შრომადღეზე ავანსად გაცემულია 2 კილოგრამი და 300 გრამი პური. ეს ციფრი, კოლმეურნეობის გამგეობის ვარაუდით, საბოლოოდ ერთიორად გადიდდება.

სოფელ სკრის კოლმეურნეობამ პურის მოსავალი შარშანაც კარგი მიიღო, მაგრამ წლევანდელმა მოსავალმა ვარაუდს დიდად გადააჭარბა. კოლმეურნეობაში როცა სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა, ბრიგადებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

— თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი პური!—ასეთი იყო პეტრე ხუციშვილის ბრიგადის ვალდებულება.

— ჰექტარზე 17 ცენტნერი!—ასეთი პირობა დადო სიმონ სეფიშვილის ბრიგადამ.

კოლმეურნეებმა პირნათლად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. პ. ხუციშვილის ბრიგადამ ნაკისრ ვალდებულებას ერთი ცენტნერით გადააჭარბა—ჰექტარზე 19 ცენტნერი მოიყვანა.

პურის უხვი მოსავალი მიიღეს ტინისხიდის, შავშვების და ნადარბაზევის კოლმეურნეობებმა. სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით პურის მოსავალი ერთიორად გაზარდა. დ. ჰუჭყიანის ბრიგადამ გასულ წელთან შედარებით სამჯერ მეტი მოსავალი მოიყვანა. კოლმეურნეობამ რაიონში ყველაზე ადრე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 50 ტონა პური. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი თესლით და საჭირო ფონდებით. აქ შრომადღეზე ავანსად გასცეს 2 კილოგრამი ხორბალი. დიდი რაოდენობით მიიღეს ავანსად ხორბალი ვასო საურმა, სიკო გოლოშვილმა, არტემ ყაზარაშვილმა და სხვებმა.

პურის უხვი მოსავალი მიიღეს გორის რაიონის კოლმეურნეებმა. ისინი აქედანვე აჩაღებენ მუშაობას, რათა მომავალ წელს უფრო მეტი მოსავალი მოიყვანონ.

**შ. ჩუბინიძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ახალი მშენებლობა კოლმეურნეობაში

**ზემო სვანეთი.** (საკ. კორ). წვირმის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ქ. მუკვანი) კარგ ინიციატივას იჩენს სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. შარშან აქ აშენდა ბინები მსხვილფეხა პირუტყვისათვის და თივის ფარდული. წელს აშენდა ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც მოთავსებულია კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა, კლუბი და საწყობი. აიგო აგრეთვე სასკოლო შენობა.

# ფართოდ დავნერგოთ პრაქტიკაში პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება

★

**ა. მგელაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

★

საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი, წარმმართველი ძალაა კომუნისტური პარტია. კომუნისტური პარტიის მთელი გმირული ბრძოლა, მთელი მისი მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა ისახავს ერთ მიზანს — კომუნისტური საზოგადოების აშენებას, სადაც თვითეული ადამიანი იშრომებს თავისი უნარის მიხედვით და მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით.

საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სახელმწიფოს არა აქვს არც ერთი ისეთი წარმატება, რომელიც დაკავშირებული არ იყოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და მოღვაწეობასთან. ლენინ-სტალინის პარტიამ გადააქცია ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, მოახდინა ანტაგონისტური კლასების ლიკვიდაცია, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა ყველაზე საშინელ ომში, როგორიც კი ისტორიაში ოდესმე მომხდარა,—დიდ სამამულო ომში. ამის შედეგად ლენინ-სტალინის პარტიამ თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის უზრუნველყო შეძლებული, კულტურული ცხოვრება.

ყოველი საბჭოთა ადამიანი ხედავს და უშუალოდ გრძნობს იმ დიად გამარჯვებებს, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა გმირმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, სახალხო მეურნეობისა და კულტურის იმ ახალ მძლავრ აღმავლობას, რომლის გზებიც დასახა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ გამოსვლაში ამომრჩევლების წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს.

ჩვენი სამშობლო — საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ძლიერი გახდა და გაცილებით მეტ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომამდე იძლეოდა.

სწორედ ამიტომ მსოფლიოში არც ერთ პარტიას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, არ სარგებლობს ხალხის ისეთი ნდობითა და მხურვალე სიყვარულით, როგორც ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია.

პარტიული ორგანიზაციების მთელი მრავალმხრივი ცხოვრება და მოღვაწეობა მშრომელთა მასებისადმი ხელმძღვანელობის შესანიშნავი სკოლაა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს მასებისადმი ხელმძღვანელობის, მათი კომუნისტური აღზრდის, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობის უმდიდრესი გამოცდილება. ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის თვითეულ რაზმს თავისი წვლილი შეაქვს პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის უმდიდრესი გამოცდილების საერთო საგანძურში. სწორედ ამიტომ პარტიული მუშაობის გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

პარტიული მუშაობის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება წარმოადგენს მასებში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, მუშაობის ყველა დარგში მათი ხელმძღვანელი როლის გაძლიერების აუცილებელ პირობას.

ითვალისწინებენ რა ამას, აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ პარტიული მუშაობის გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას. ფართოდ არის მოწყობილი ქალაქებისა და რაიონების პირველადი პარტიულ ორგანიზაციებს შორის მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. პრაქტიკაში დანერგილია პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასწრება სხვა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე.

სოხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელიც მიმდინარე წლის 30 მაისს შედგა, გადაწყვიტა პარტიულ მუშაკთა დიდი ჯგუფის ქალაქ თბილისში გაგზავნა თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესასწავლად და ამ გამოცდილების სოხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში გასავრცელებლად.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში გაიგზავნენ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მუშაკები, საწარმოების, რკინიგზის ტრანსპორტისა და სამეცნიერო დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და პარტჯგუფორგები, პროპაგანდისტები, კონსულტანტები და აგიტატორები.

შემთხვევითი როდია, რომ ქალაქ სოხუმის პარტიული მუშაკები სწორედ თბილისში გაიგზავნენ.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც დიდმა სტალინმა ჩაუყარა საფუძველი, მზრუნველობით გამოზარდა და გამოაწრთო, აქვს რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი გმირული ისტორია, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში შეძენილი გიგანტური გამოცდილება.

სწორედ ამ ბრძოლაში იშვა სახელოვანი სტალინური ტრადიციები. სტალინური ტრადიციები მარად ცოცხალი წყაროა, საიდანაც ბოლშევიკები და მშრომელები იძენენ ახალ ძალას, თავიანთი კეთილშობილური და მართალი საქმის გამარჯვების რწმენას.

ამ სტალინური ტრადიციებით ზრდიდა თბილისის პარტიულ ორგანიზაციას ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლავრენტი ბერია, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს.

სწორედ ამიტომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია სამართლიანად ითვლება პარტიული მუშაობის ლაბორატორიად.

ქალაქ სოხუმის პარტიული მუშაკები ხუთი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დაყენებას ისეთ საწარმოთა და დაწესებულებათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, როგორიცაა: სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა № 1, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა და სხვ. სოხუმის პარტიული მუშაკები იყვნენ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, დაათვალიერეს თბილისის საქალაქო მეურნეობა, მისი ახალმშენებლობანი, იყვნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მცხეთაში, გორში ინახულეს სახლი, სადაც დაიბადა ი. ბ. სტალინი.

ქალაქ თბილისის მოწინავე პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობის გაცნობამ შესაძლებლობა მისცა სოხუმელებს შეეძინათ ბევრი რამ ახალი და სასარგებლო, რაც საჭიროა გავრცელდეს ქალაქ სოხუმის პარტიულ ორგანიზაციებში და აფხაზეთის ყველა რაიონში.

მას შემდეგ, რაც სოხუმის პარტიული მუშაკები თბილისიდან დაბრუნდნენ, მოწვეულ იქნა ფართო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, კონსულტანტები, აგიტატორები, პარტჯგუფორგები. თათბირზე მოსმენილ იქნა იმ ამხანაგების მოხსენებები, რომლებიც თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში იყვნენ. შემდეგ გაიშალა პრაქტიკული მუშაობა ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მოწინავე გამოცდილების დასანერგავად ქალაქ სოხუმის პარტიულ ორგანიზაციებში.

სოხუმის სანავსადგურო მოწყობილობის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. გარმელიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტი პარტიული კრებებისათვის მზადებისას უზრუნველყოფს კომუნისტების ფართო მონაწილეობას პარტიული ან საწარმოო მუშაობის გარკვეული უბნების შემოწმებაში პარტიულ კრებაზე საკითხის მომავალ განხილვასთან დაკავშირებით.

ამხ. გარმელია აღნიშნავს: „არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ კომუნისტებს არ ვაბამდით პარტიული კრებების მომზადებაში, მაგრამ ჩვენი მუშაობის ნაკლი ის იყო, რომ ხშირად ვჯერდებოდით ამ საქმეში ერთი და იმავე ამხანაგების მხოლოდ მცირე რიცხვის მონაწილეობას.

იყენებს რა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კომიტეტის მუშაობის გამოცდილებას, სანავსადგურო მოწყობილობის ქარხნის პარტიული ბიურო ახლა პარტიული კრებების მოსამზადებლად იზიდავს კომუნისტების დიდ ჯგუფს, ამასთან ამ კომუნისტთა რიცხვში ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას კრებისათვის საკითხების მომზადებაში. ამან გამოიწვია კომუნისტების განსაკუთრებული აქტივობა თვით კრებაზე. პარტიული ბიურო მიხვდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების ფართო წრის ჩაბმას საკითხების მომზადებისათვის, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმისათვის. ამან ხელი შეუწყო შინაპარტიული მუშაობის მნიშვნელოვნად გაძლიერებას".

სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. ჯავახიძემ, რომელიც გაეცნო თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკაში ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის დაყენებას, დაბრუნების შემდეგ მიიღო მთელი რიგი ზომები სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის გასაძლიერებლად. აი რას ამბობს იგი ამის შესახებ: „ჩვენს ფაბრიკაში პარტიული კონტროლი ხშირად იმით განისაზღვრებოდა, რომ პარტიულ კრებებზე და პარტბიუროს სხდომებზე ვიხილავდით საწარმოს დირექტორისა და საამქროთა უფროსების მოხსენებებს.

ამხანაგები ზოგჯერ ისე ისმენდნენ მოხსენებებს, რომ ღრმად არ სწვდებოდნენ საქმის არსს. ეს იმას იწვევდა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებში ცოტა იყო კონკრეტული მითითებანი იმის შესახებ, თუ უფრო სწრაფად როგორ აღმოგვეფხვრა არსებული ნაკლოვანებანი.

თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი პარტიული მუშაკები წარმოების ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლას შეუდგნენ.

ჩვენს ფაბრიკაში ასეთი შემთხვევა იყო. დამტენ საამქროს მაისში თამბაქოს გადახარჯვა ჰქონდა. პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიურო დაინტერესდა გადახარჯვის მიზეზით. შემოწმებაში ჩაბმულ იქნენ კომუნისტები და უპარტიო აქტივი. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა პარტიული ბიუროს სხდომაზე. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, თამბაქოს გადახარჯვა თამბაქოს საამქროს ცუდი მუშაობით იყო გამოწვეული: თამბაქოს დამუშავება არასაკმარისად ხდებოდა. საამქროს უფროსი ამხ. ქ. ბოკუჩავა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ყველა ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვას. ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბიუროს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად თამბაქოს საამქრომ ძირეულად გააუმჯობესა თავისი მუშაობა და ახლა თამბაქოს ეკონომიას იძლევა".

სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანს ამხ. ვ. ჩიქოვანს აინტერესებდა ის, თუ პარტიული ორგანიზაცია როგორ ეწევა ნოვატორთა მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციას და როგორ ნერგავს ამ მეთოდებს. მან გულდასმით შეისწავლა, თუ როგორ დანერგა თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ნოვატორის, სტალინური პრემიის ლაურეატის ამხ. ი. ნიკოლაშვილის მეთოდი. სოხუმში დაბრუნების შემდეგ ამხ. ჩიქოვანმა პარტბიუროს წევრებს დაწვრილებით გააცნო არა მარტო ამხ. ი. ნიკოლაშვილის მეთოდი, არამედ ისიც, თუ პარტიული ორგანიზაცია როგორ ეწევა მისი მუშაობის მეთოდის პოპულარიზაციას და როგორ ნერგავს მას.

სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ბევრი მუშაკი ახლა უკვე ამხ. ი. ნიკოლაშვილის მეთოდით მუშაობს. ადმინისტრაციამ თითქმის ყველა მანქანა ძირითადად უზრუნველყო ინსტრუმენტების სრული კომპლექტით და იღებს ზომებს იმისათვის, რომ მანქანები უზრუნველყოს სათადარიგო ნაწილებით. ამის შედეგად სარემონტო-სა-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# რატომ ცდილობენ ამერიკელი იმპერიალისტები ჩაშალონ კესონის მოლაპარაკება?

### კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო ამერიკის სარდლობის პოზიციის შესახებ

**ფხენიანი,** 10 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის მხარეს არ სურს კესონის მოლაპარაკების განახლება, კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტისა და დაზავების შესახებ კესონის მოლაპარაკება ახლა დიდ კრიზისს განიცდის, რაც გამოიწვია ამერიკის მხარის პროვოკაციულმა მოქმედებამ.

რა არის იმის მიზეზი, რომ ორი თვის განმავლობაში კესონის თათბირზე არც ერთი სერიოზული საკითხი არ გადაუწყვეტიათ, გარდა დღის წესრიგის დამტკიცებისა?

მოლაპარაკების მსვლელობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამის მიზეზია პოზიცია ამერიკის დელეგაციისა, რომელიც მოლაპარაკების პირველი დღიდანვე, თავისი დეკლარაციული განცხადებების მიუხედავად, ყველაფერს სჩადის, რათა გააჭიანუროს და ჩაშალოს მოლაპარაკება. ამერიკის დელეგაციის ასეთ პოზიციაში გარკვევა სულაც არ არის ძნელი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კესონში მოლაპარაკების დაწყებით ამერიკელი პოლიტიკანები სრულიად არ ცდილობდნენ კორეაში ინტერვენციის შეწყვეტას და შორეულ აღმოსავლეთში თავიანთ აგრესიულ გეგმებზე ხელის აღებას.

კორეაში ინტერვენციის დაწყების შემდეგ ამერიკის მმართველ წრეებს არაერთხელ უარუყვიათ ყველა წინადადება კორეის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. როცა, გამოეხმაურნენ რა მალიკის განცხადებას, ისინი დათანხმდნენ დაეწყოთ მოლაპარაკება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ მათ სურთ პირველი ნაბიჯი გადადგან კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. ისინი იძულებული იყვნენ შემდეგი მიზეზების გამო მოქცეულიყვნენ ასე. ჯერ-ერთი, სამხედრო დამარცხებანი, რაც კორეაში ინტერვენტებმა განიცადეს, მოითხოვდნენ ჯარების სასწრაფო შევსებას, ბრძოლებში შეთხელებული დივიზიების შევსებას და ფრონტის ხაზთან ახალი საბრძოლო ტექნიკის მიზიდვას. მეორე, სულ უფრო ძლიერდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ხმა, რომლებიც მოითხოვენ კორეაში ამერიკელთა ინტერვენციის შეწყვეტას. მესამე, ამერიკელთა სამხედრო მარცხებმა არეულდარეულობა გამოიწვია აგრესორთა ბანაკში, გაძლიერდა შეხლა-შემოხლა და კინკლაობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, აგრეთვე სხვა ქვეყნებს შორის, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კორეის ავანტიურაში ჩაბეს და რომლებმაც დაიწყეს კორეაში ომის შეწყვეტის მოთხოვნა.

ასეთ პირობებში ამერიკის მმართველი წრეები იძულებული იყვნენ დაეწყოთ მოლაპარაკება კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. მოლაპარაკების მსვლელობამ და ამ პერიოდის ამბებმა ცხადყვეს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები, კესონში რომ მივიდნენ, სამ მიზანს მაინც ისახავდნენ: მოეტყუებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თავიანთი მოჩვენებითი მშვიდობისმოყვარეობით, ცდილიყვნენ მოლაპარაკების დროს მოეწყვიტათ ჩრდილოეთ კორეისათვის 38-ე პარალელის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, რაც საშუალებას მისცემდა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაზავების შემდეგ კვლავ გაეჩაღებინათ საბრძოლო მოქმედება და მოკლე ხანში მისდგომოდნენ სსრ კავშირისა და ჩინეთის საზღვრებს და, დასასრულ, გამოეყენებინათ მოლაპარაკება, როგორც შირმა კორეის ფრონტზე რეზერვებისა და ტექნიკის თავმოსაყრელად და მოლაპარაკების პერიოდში საბრძოლო მოქმედების აქტივიზაციის, როგორც კესონში კორეის მხარეზე ზეგავლენის საშუალების მოსამზადებლად.

მოლაპარაკების დაწყებისთანავე გენერალმა რიჯუეიმ გამოსცა ბრძანება ამერიკის მე-8 არმიის სარდალ ვან ფლიტისადმი და მიუთითა მას, რომ მოლაპარაკება გამოყენებული ყოფილიყო ფრონტის გასამაგრებლად, საომარი მასალისა და სამხედრო ტექნიკის მისაზიდავად, ბრძოლებში შეთხელებული ნაწილების შესავსებად და შეტევისათვის მოსამზადებლად. ამავე დროს შეერთებულმა შტატებმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს თავიანთ სატელიტებზე და მოსთხოვეს მათ ჯარის ახალი შენაერთების გაგზავნა კორეაში. მალე ტაილანდის მთავრობამ რამდენიმე ასეული ჯარისკაცი გაგზავნა კორეაში. იელისში იაპონიის ნავსადგურ კურეში კორეაში გასაგზავნად ჩაიდინენ კანადის ჯარები. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ კორეაში ჯარების გაგზავნაზე დათანხმდნენ საფრანგეთისა და ნორვეგიის მთავრობები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ტრიუგვე ლი, რომელმაც შეასრულა თავისი ამერიკელი ბატონების სურვილი, სასწრაფოდ გაემგზავრა ევროპაში, რათა დაეჩქარებინა მარშალიზებული ქვეყნების ის მმართველნი, რომლებიც ვაშინგტონის ბრძანების შესრულებას აყოვნებდნენ.

მიუხედავად მოლაპარაკებისა, ამერიკის რეაქციული პრესა ყოველნაირად გაჰყვიროდა, რომ საჭიროა კორეის დაპყრობა მდინარე ამნოკანამდე და ტუმანგანამდე (ალუძიანი და ტუმინძიანი. რედ.), გაჰყვიროდა კომუნისტური ჩინეთის წინააღმდეგ ომის შესახებ. ამერიკელ მრეწველებსა და ბანკირებს აშინებს კორეაში ომის შეწყვეტის შესაძლებლობა. „შეიარაღება ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ბიზნესი გახდა“,— წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“. ზავი კორეაში იმას ნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიარაღების წარმოება მკვეთრად დაეცემოდა. ბირჟა პირველი გამოეხმაურა შეშფოთებით კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას. „კორეაში ზავის ამ მოულოდნელმა პერსპექტივამ შეარყია ფასების მთელი სისტემა,— იუწყებოდა ჩიკაგოდან ასოშეიტედ პრესის სააგენტო,— აქციების კურსი უმალვე დაეცა“. განგაში ატეხა ამერიკელი მონოპოლისტების რუპორმა ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“. „ბედი ჩვენი სამხედრო პროგრამისა,— წერდა ის,— იმ რაოდენობით, რომლითაც იგი ახლა დაგეგმილია, საფრთხე ხდება კორეის საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. ამ მოლაპარაკების შედეგს სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანი მოღვაწეობისა და ფასების დონისათვის“. დამფრთხალი ბიზნესმენების სანუგეშებლად ჟურნალმა განაცხადა: კიდევაც, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს კორეის კონფლიქტი „ჩვენ მუდამ გვრჩება მარაგში ახალი კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობა“.

მრეწველთა გასამხნევებლად ალაპარაკდნენ გენერლები. გენერალ მარშალის რჩევა იყო რაც შეიძლება მალე და უფრო საფუძვლიანად მოეკიდოთ ხელი ევროპისათვის, ბირჟის საქმოსნებმა რომ არ გარკვეულიყვნენ რიხიანი გენერლის ამ სიტყვების ფარული აზრის გამოსარკვევად, მეორე სამხედრო მოღვაწემ— ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა პეისმა სენატის ასიგნობათა ქვეკომისიაში განაცხადა, რომ შესაძლებელია „კორეის ინციდენტი“ ირანში, იუგოსლავიაში ან დედამიწის სხვა რომელიმე რაიონში განმეორდესო.

მაგრამ ეს ჯერჯერობით ომის შორეული პერსპექტივა იყო, კორეაში კი ხანძარი უკვე გიზგიზებდა. ამერიკელი მონოპოლისტებისათვის, რომლებიც ხელს ითბობენ ამ ომის ხანძარზე და რომლებმაც შარშან კორეის ომით 22 მილიარდი დოლარი იშოვეს, სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება. ამიტომ ამერიკელმა პოლიტიკოსებმა სამხედრო პირებთან ერთად მკვეთრი შემობრუნება მოახდინეს და დაიწყეს მოლაპარაკების ჩაშლა.

მაგრამ საზავო მოლაპარაკების ჩაშლით და კორეის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტაზე უარისთქმით ამერიკელმა იმპერიალისტებმა კვლავ დაანახვეს მთელ მსოფლიოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, ლაპარაკობენ რა მშვიდობაზე, უწინარეს ყოვლისა ომის გაფართოებისათვის ზრუნავენ. დაადგნენ რა აგრესიის გაფართოების გზას და დაიწყეს ახალი შეტევა, ინტერვენტებს დაავიწყდათ ერთი წლის ომის შედეგები, რომლებიც დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ამერიკელთა ინტერვენცია კორეაში შეიძლება მხოლოდ ინტერვენტების დამარცხებით დამთავრდეს.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 11 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით იგერიებენ მოწინააღმდეგის იერიშებს და კვლავ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

11 სექტემბერს სახალხო არმიის მეზენიტეებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი, რომლებიც ბარბაროსულად ბომბავდნენ და ცეცხლს უშენდნენ ფხენიანის, ვონსანის, სარივონისა და სოხანის მშვიდობიან მოსახლეობას.

## ამერიკის თვითმფრინავმა სროლა აუტეხა კესონის ნეიტრალურ ზონას

**პეკინი,** 11 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს: 10 სექტემბერს 01 საათსა და 35 წუთზე ამერიკის კიდევ ერთმა თვითმფრინავმა გადაუარა კესონის ნეიტრალურ ზონას და სროლა აუტეხა მანვოლრის რაიონს კონფერენციის ადგილის მახლობლად.

ჩვენმა მხარემ ამერიკელებს რადიოტელეფონით გამოუცხადა მტკიცე პროტესტი. უფრო გვიან ჩვენი დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა ამერიკელებს წერილობითი პროტესტი გაუგზავნა.

ამერიკის მეკავშირე ოფიცრის მოსვლის შემდეგ ორივე მხარემ 09 საათსა და 45 წუთზე დაიწყო ერთობლივი გამოკვლევა, რაც 13 საათსა და 40 წუთზე დამთავრდა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამერიკის თვითმფრინავის ტყვიები მოხვდა სამ სახლს და დატოვა 20 კვალი— 7 კვალი კედლებზე, 3 კვალი სახურავის ზემო ნაწილში, სამი ტყვია სახლებში შევიდა და 7 ტყვია ბოსტნებში დაეცა. აღმოჩენილ იქნა 10 ვაზნის ბილზი და ტყვია.

გამოკვლევის დროს ამერიკის მეკავშირე ოფიცერი ცდილობდა უარეყო დანაშაულებრივი სროლა, რაც ამერიკის თვითმფრინავმა მოახდინა. მან თქვა, შესაძლოა ვინმე ისროდა სახლის სახურავიდან და რომ ეს სროლა თვითმფრინავიდან არ ყოფილაო. მაგრამ სამივე სახლმფლობელმა, რომლებსაც გამოჰკითხეს, განაცხადა, რომ სროლის დროს მათ ესმოდათ თვითმფრინავის ხმაური. გამოკვლევის დროს ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ რამდენჯერმე გადაუფრინეს კესონის ნეიტრალურ ზონას.

ამერიკის მეკავშირე ოფიცერმა დაუყოვნებლივ გააკეთა ცრუ განცხადება, ამერიკის თვითმფრინავებმა ნეიტრალური ზონის ფარგლებს გარეთ გადაიფრინესო.

გამოკვლევის შემდეგ ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრები დღის 3 საათზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს კონფერენციის დარბაზში. ამერიკის მეკავშირე ოფიცერმა იმ საბაბით, რომ იგი ჩამოვიდა მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების დადგენის მიზნით და რომ არა სურს გააკეთოს რაიმე დასკვნა, უარი თქვა ეღიარებინა ფაქტები, რომლებიც დადასტურებულია უდავო ცნობებით

მაშინ ჩვენმა მეკავშირე ოფიცერმა მას უჩვენა ტყვიამფრქვევის ვაზნების ბილზები, რომლებიც სროლის დროს ამერიკის თვითმფრინავმა ჩამოყარა სუნგიუნგვანის რაიონში კესონის ჩრდილოეთით. ადგილობრივ დამტკიცებულ იქნა, რომ ტყვიების ბილზების ზუსტი მოსარგისი იყო. ჩვენმა მეკავშირე ოფიცერმა ამერიკის მეკავშირე ოფიცერს უთხრა: ყველა მოწმე და ყველა ფაქტიური ცნობა ცხადყოფს, რომ სროლა მოახდინა მოწინააღმდეგე მხარის თვითმფრინავმა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ჩვენი დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა უბრძანა მას სიტყვიერი პროტესტი განუცხადოს მოწინააღმდეგე მხარეს და რომ ჩვენ ვინარჩუნებთ უფლებას წამოვაყენოთ შემდგომი მოთხოვნები.

# უთანხმოება კორეაში მყოფ ინტერვენტთა ბანაკში

**ფხენიანი,** 10 სექტემბერი. (საკდესი). კორეის პრესა აქვეყნებს კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობას, რომ კორეაში მყოფ ამერიკელ აგრესორთა ბანაკში ამ ბოლო დროს გაძლიერდა უთანხმოება, ინტერვენციონისტული ჯარების ჯარისკაცები და ოფიცრები მორალურად იბრწყინებიან და მათი საბრძოლო სულისკვეთება ეცემა, რაც სამხედრო დამარცხებისა და იმ ომის უსამართლობის შედეგების შედეგია, რომელსაც ისინი აწარმოებენ.

კორეაში ინტერვენცია რომ დაიწყეს, ნათქვამია ცნობაში, ამერიკის მმართველმა წრეებმა გაგზავნეს ამ ქვეყანაში როგორც ამერიკის ჯარები, ისე იმ ქვეყნების ჯარები, რომლებიც ამერიკის დიქტატს ექვემდებარებიან. ამჟამად კორეაში აგრესორთა ბანაკში იბრძვიან ლისინმანელთა და ამერიკელთა ჯარები, ინგლისის, კანადის, თურქეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ფილიპინების, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების ჯარის ნაწილები. ამ სხვადასხვა ტომის ჯარების ძირითად ძალას წარმოადგენენ ამერიკის ინტერვენციონისტული ჯარები. როგორც წესი, ამერიკის ჯარის ნაწილები, რომლებიც პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან, უკეთესად მარაგდებიან როგორც საბრძოლო მასალებითა და იარაღით, ისე სურსათ-სანოვაგითა და ტანსაცმლით. შეტევის დროს ჩვეულებრივ წინ იგზავნებიან ლისინმანელთა ჯარები, აგრეთვე სხვა ქვეყნების: ინგლისის, კანადისა და სხვათა ჯარის ნაწილები, ამრიგად ეს ჯარები ჩვეულებრივ კორეის ფრონტზე ბრძოლებში ყველაზე მეტ ზარალს განიცდიან. უკან დახევის შემთხვევაში ამერიკელთა ჯარები ჩვეულებრივ პირველნი ტოვებენ ფრონტს და გარბიან, ხოლო ლისინმანელთა, ინგლისის, კანადისა და სხვა ქვეყნების ჯარები განწირული არიან აუცილებელი განადგურებისათვის. ყოველივე ეს უკვე დიდი ხანია უთანხმოებას იწვევდა აგრესორთა ბანაკში. მიმდინარე წლის სამხედრო დამარცხებებმა, ცნობამ კესონის საზავო მოლაპარაკების შესახებ და ინტერვენტთა დიდმა ზარალმა შეტევისას, რომელიც მათ კესონის მოლაპარაკების დროს დაიწყეს, განსაკუთრებით გამწვავა წინააღმდეგობანი და თვით აჯანყებებიც კი გამოიწვია, რაც ამერიკელებმა იარაღით ჩაახშეს.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები ახლა აშკარა რასიზმის ქვეყნად გადაიქცნენ და ამ რასიზმს ამერიკელები ნერგავენ აგრეთვე კორეაში მყოფ ინტერვენციონისტულ ჯარებში. ამერიკელები აშკარად აცხადებენ სხვათა წინაშე ანგლო-საქსური რასის უპირატესობის შესახებ და ქედმაღლურად ეპყრობიან როგორც ლისინმანელებს, ისე ინტერვენციაში სხვა მოკავშირეებსაც. ამან, კერძოდ, უკიდურესობამდე გამწვავა ურთიერთობა ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებს შორის.

ლისინმანელთა მარიონეტული არმიის მე-12 დივიზიის მე-2 პოლკის ჯარისკაცი, ტყვედ წამოყვანილი პაკ გი პანი ამერიკელთა და ლისინმანელთა ურთიერთობის შესახებ იუწყება: „ფრონტის საშიშ უბნებზე ამერიკის ჯარები ჩვეულებრივად თავიანთი საბრძოლო წყობის წინ გზავნიან ეროვნული დაცვის ჯარებს (ლისინმანელთა არმია.— რედ.). ამერიკელები პირველნი გარბიან, თუ მდგომარეობა მათთვის არახელსაყრელი შეიქმნა. მიუხედავად ამისა, ამერიკელები თავიანთი გაქცევისა და დამარცხებისათვის ბრალს სდებენ მუდამ ეროვნული დაცვის არმიას. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, როცა ამერიკელები პანიკით გარბიან ფრონტიდან თავიანთი ჯიპებით, ისინი ცეცხლს უშენენ ეროვნული დაცვის არმიის ნაწილებს, თუ ეს უკანასკნელნი გზას არ უთმობენ, და ამის შედეგად ეს სროლა ხშირად ნამდვილ ბრძოლად იქცევა. ამ უკანასკნელ ხანს ხშირი დამარცხების შედეგად ამერიკელები განსაკუთრებით გულმოდგინედ გარბიან ბრძოლების რაიონიდან. გაქცევისას ისინი იარაღს ჰყრიან და შემდეგ ძალად ართმევენ იარაღს ჩვენს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ამის შესახებ, სხვათაშორის, ლაპარაკია ეროვნული დაცვის არმიისადმი სპეციალურ ბრძანებაშიც კი, რომელიც სროლის ნებას რთავს ისეთ შემთხვევებში, როცა ამერიკელები შეეცდებიან ძალით წაართვან იარაღი ეროვნული დაცვის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს“.

ლისინმანელთა სიძულვილი ამერიკელებისადმი გამოიხატება არა მარტო ჩხუბითა და ურთიერთსროლით, არამედ ნამდვილ აჯანყებადაც იქცევა. სულ ამ ახლო ხანში ასეთი აჯანყება მოხდა კუნძულ არესომზე, სადაც განლაგებული იყო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების“ მე-8 არმიის მზვერავთა ნაწილი. ამ ნაწილში, რომელიც ძირითადად ამერიკელთაგან შედგება, არის აგრეთვე ლისინმანელთა რაზმი. კორეელებისადმი, როგორც დაბალი რასისადმი, ამერიკელთა ქედმაღლური მოპყრობით, ყველგან და ყოველთვის მათი მუდმივი დისკრიმინაციით ლისინმანელთა აღშფოთებამ იმდენად გაამწვავა ურთიერთობა ლისინმანელთა და ამერიკელთა შორის, რომ ლისინმანელთა ამ რაზმმა, რომელიც ამერიკელთა წინააღმდეგ აჯანყებით იმუქრება, მოითხოვა წაეყვანა ნაწილის სარდლობის ბოლო მოეღოს რასობრივ დისკრიმინაციასა და სურსათ-სანოვაგით მომარაგებაში არსებულ დისკრიმინაციას, აგრეთვე გაადიდოს სასურსათო ულუფის ნორმა, რამდენადაც არსებული ნორმა ნახევრადმშიერი ნორმაა. ნაწილის ამერიკელმა მეთაურმა არა მარტო უარყო ლისინმანელთა ყველა მოთხოვნა, არამედ კიდევაც განაცხადა, რომ მათ უნდა აზარებდეს ის სურსათ-სანოვაგე, რომელსაც აძლევენ, ხოლო იარაღი ლისინმანელებს არ ეძლევათ, რამდენადაც ამ იარაღს მაშინვე წაართმევენ სახალხო არმიის ნაწილები. მაშინ ლისინმანელთა რაზმი აჯანყდა. მაგრამ იმის გამო, რომ რაზმი სუსტად იყო შეიარაღებული და ვერავითარი ვერ მიიღო დახმარება, ამერიკელებმა სასტიკად ჩაახშეს აჯანყება.

ძლიერდება აგრეთვე ინტერვენტებისა და ლისინმანელთა მარიონეტული არმიის ჯარების მორალური გახრწნა. თაღლითობა, მოსახლეობის ძარცვა და ოფიცერთა მიერ ჯარისკაცების გაძარცვა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ოფიცერთა უმაღლესი და საშუალო შემადგენლობა, გრძნობს რა, რომ ინტერვენცია სრული დამარცხებით დამთავრდება, ცდილობს ძარცვის საშუალებით მალე დააგროვოს რაც შეიძლება მეტი კაპიტალი, რისთვისაც არ თაკილობს არც სიყალბესა და არც აშკარა თაღლითობას.

ლისინმანელთა „მთავრობის“ ეროვნული დაცვის მინისტრმა სინ სენ მომ, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გენერალური შტაბის უფროსმა და სხვა უმაღლესმა მოხელეებმა თაღლითობის საშუალებით მიითვისეს ხუთი მილიარდი ვონი. ამჟამად მათ მიერ მითვისებული თანხა უკვე 24 მილიარდ ვონს შეადგენს. ლისინმანელთა გაერთიანებული დამცველი პოლკების სარდალმა კიმ მენ ჩინმა მიითვისა 2.572.000.000 ვონი, რაც მან მალე გადაცვალა ერთ მილიონ ამერიკულ დოლარზე.

ლისინმანელმა ლი სანინმა, რომელიც ლისინმანელთა არმიის მე-7 დივიზიის მე-8 პოლკის მზარეულად მსახურობდა, განაცხადა, რომ 230 ვონიდან, რაც თვიურად ჯარისკაცს ეკუთვნოდა სანზრდოდ, 100 ვონს უქვითავს პოლკის მეთაური „ჯარისკაცთა ცხოვრების გაუმჯობესების“ საბაბით. ნამდვილად კი ეს ფული პოლკის მეთაურის ჯიბეში ხვდის.

ლისინმანელთა და ამერიკელთა დაცემული საბრძოლო სულისკვეთების „ასამაღლებლად“ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ სარდლობამ განკარგულება გასცა— ფრონტის ხაზზე გაიგზავნოს საროსკიპო სახლები.

ამ უკანასკნელ ხანებში ჯარისკაცთა შორის გახშირდა თვითდაჭრისა და დეზერტირობის შემთხვევები. დეზერტირთა შორის განსაკუთრებით ბევრია ახალწვეული.

ლისინმანელთა არმიის თითქმის 80 პროცენტი ახალწვეულია. ლისინმანელთა მე-6 დივიზიის მე-15 პოლკის 1-ლი ბატალიონის მე-3 ასეულის ლისინმანელი ჯარისკაცი, სამხედრო ტყვე ხვან დეკ მენი ამბობს, რომ ოფიცრები ჯარისკაცებს დახვრეტით ემუქრებიან დეზერტირობისათვის, მაგრამ აღნიშნულია თვით ოფიცერთა დეზერტირობის ბევრი შემთხვევაც. ერთ ჩვენს პოლკში, განაცხადა მან, ორი თვის განმავლობაში გაიპარა ასეულისა და ოცეულის ათი მეთაური, ხოლო ჯარისკაცთა შესახებ ლაპარაკიც მეტია: ისინი ყოველდღე გარბიან ნაწილიდან. დივიზიაში განსაკუთრებით ბევრია თვითდაჭრის შემთხვევა, რამდენადაც ჯარისკაცებს არ სურთ იომონ. დივიზიის პირადი შემადგენლობის ერთი მესამედი უკვე გამოვიდა მწყობრიდან ჯარისკაცთა თვითდაჭრის გამო. თვითდაჭრის შემთხვევები ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ ლისინმანელთა ჯარისკაცებს არ სურთ იომონ მათთვის უცხო ინტერესებისათვის — ამერიკელ იმპერიალისტთა ინტერესებისათვის.

თვითდაჭრის შემთხვევები გავრცელებულია აგრეთვე ამერიკელთა ინტერვენციონისტულ ჯარებშიც. ამის შესახებ ლაპარაკობს ლისინმანელთა არმიის მე-3 დივიზიის 23-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის ლისინმანელი ჯარისკაცი, სამხედრო ტყვე ჯენ ვონი. მან თქვა: ანხანის მახლობლად ამერიკელმა სერჟანტმა კლდის უკან წამოყვანა, მოსცა თავისი კარაბინი და მთხოვა მესროლა მისთვის ხელში; თხოვნა შევუსრულე. სერჟანტი, როგორც მისგან გავიგე, ამერიკელთა მე-2 დივიზიის მე-9 პოლკში მსახურობდა. ასეთი თვითდაჭრის მოტივი ერთია— ამერიკელ ჯარისკაცებს მობეზრდათ ომი, მათ შინ წასვლა უნდათ და არ სურთ დაიღუპონ კორეაში.

# ფეხბურთი

დასასრულს უახლოვდება მიმდინარე წლის პირველობის [illegible] საბჭოთა ამ [illegible] ბაში მონაწილე [illegible] ბის ჩახატ. [illegible] ხვედრა. [illegible] ტილია, რომელიც უკვე დაიკავა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა, სამაგიეროდ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს მეორე ადგილისათვის. მეორე ადგილის დაკავების რეალური შესაძლებლობა აქვს ხუთ გუნდს: თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს, მოსკოვის „სპარტაკს“, სტალინოს „შახტიორს“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“. აღნიშნულ ხუთ გუნდს შორის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს თბილისის „დინამოს“ გუნდს, რომელსაც მხოლოდ ერთი შეხვედრაღა დარჩა ჩასატარებელი.

გუშინ ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა თავისი 27-ე კალენდარული შეხვედრა. თბილისელთა წინააღმდეგ თამაშობდა კიევის „დინამოს“ გუნდი.

შეჯიბრება დაიწყო სწრაფი ტემპით. თბილისელებმა პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაშის პირველ ნახევარში გამუდმებით უტევდნენ კიეველთა კარს. მიუხედავად ამისა, მათ ეს უპირატესობა ვერ გამოიყენეს და შეჯიბრების პირველ ნახევარში შედეგს ვერ მიაღწიეს.

შესვენების შემდეგ თბილისის „დინამოს“ თავდასხმის ხუთეული განაგრძობდა იერიშს სტუმრების კარზე. ორი წუთიც არ იყო გასული შეხვედრის მეორე ნახევრის დაწყებიდან, როდესაც კიეველთა საჯარიმო მოედანთან შეიქმნა ორი თუ სამი სახიფათო მდგომარეობა. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით კიეველთა ცენტრალურმა მცველმა ა. ლერმანმა გადასწყვიტა, ბურთი მიეწოდებინა თავისივე მეკარისათვის, მაგრამ მოტყუვდა. ბურთს დაეუფლა თბილისელი ი. ვარდიმიადი, სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და გახსნა ანგარიში.

კიეველებმა შეძლეს თამაშის გადატანა მოედნის თბილისელთა ნახევარზე და მალე თბილისელთა მეკარე ა. მარღანიას დაუდევრობის გამო ანგარიში გაათანაბრეს. მე-17 წუთზე კიეველი მცველი ა. ლერმანი კვლავ უშვებს უხეშ შეცდომას. მეკარისათვის მიწოდებულ ბურთს ამჯერად ეუფლება ა. ღოღობერიძე და ზუსტი დარტყმით მეორე ბურთი გააქვს

შეხვედრა დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

## „დინამოს“ პირველობა ჩოგბურთში

8 სექტემბერს დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კიევის, ტალინის, რიგის, ბაქოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების 80 უძლიერესმა ჩოგბურთელმა.

ვაჟთა ნახევარფინალურ შეხვედრებში ე. ნეგრებეცკიმ დაამარცხა ა. ლეკარსკი, ე. კორბუტმა— ბ. ნოვიკოვი.

მეტად საინტერესო იყო ე. ნეგრებეცკისა და ე. კორბუტის ფინალური შეხვედრა, რომელიც ე. ნეგრებეცკის გამარჯვებით დამთავრდა.

ქალთა შორის სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა გ. კოროვინამ.

დიდი ინტერესი გამოიწვია წყვილთა შეხვედრებმა. ვაჟთა შორის ამ სახეში გაიმარჯვეს ე. კორბუტ— ს. ბელიც-გეიმანმა, ქალთა შორის გ. კოროვინა— ტ. ნალიმოვამ. შერეულ წყვილთა შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდნენ ტ. ნალიმოვა— ე. ნეგრებეცკი.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის კოლექტივი, მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა, მესამე— თბილისელმა ჩოგბურთელებმა.

გამარჯვებულ გუნდს საზეიმო ვითარებაში გადაეცა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასი.

# ფართოდ დავნერგოთ პრაქტიკაში პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება

(დასასრული)

კერავი საამქროს მოწყობილობა გაუცდენლად მუშაობს, შრომის ნაყოფიერება 12 პროცენტით გაიზარდა. მკვეთრად შემცირდა მოწყობილობის გაცდენა მთლიანად კომბინატში.

სოხუმის მუსიკალური სკოლის მასწავლებელმა, აგიტატორმა ამხ. პ. ხიბამ თბილისიდან დაბრუნების შემდეგ გააძლიერა საგიტაციო მუშაობა. მან თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა თავისი აგიტპუნქტის აგიტატორებს, დიასახლისებს შორის მოაწყო საუბრები ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების შესახებ, ქალაქ თბილისის ახალმშენებლობათა შესახებ.

ასეთი ფაქტი კიდევ ბევრი შეიძლებოდა დაგვესახელებინა.

ამრიგად, პარტიული მუშაობის მოწინავე გამოცდილების გასაცნობად თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში პარტიულ მუშაკთა ჯგუფის გაგზავნამ თვალსაჩინო პრაქტიკული შედეგი მოგვცა.

ამის მეოხებით სოხუმის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შეიძინა და პარტიული მუშაობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და გავრცელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმიტომ, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია ბევრი ახალი ადამიანი, რომლებსაც კონკრეტული და ყოველდღიური დახმარება ესაჭიროებათ.

საჭიროა აღინიშნოს, როგორც სერიოზული ნაკლი, რომ ცოტაა კარგი წიგნები და ბროშურები პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შესახებ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების და საუკეთესო პროპაგანდისტების, აგიტატორების, აგიტკოლექტივების მუშაობის შესახებ, პარტიული ორგანიზაციების მიერ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, ქალაქების რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობის გამოცდილების შესახებ, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის შესახებ, საწარმოთა რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებისათვის, პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის ბრძოლის შესახებ.

სოფლის კომუნისტები მოელიან კარგ ბროშურებს, რომლებშიც ლაპარაკი იქნება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, უხვი მოსავლისათვის, კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლის გამოცდილების შესახებ.

პარტიის საოლქო კომიტეტმა დასახა ფართო გეგმა ჩვენი მუშაკების გაგზავნისა თბილისში, ლენინგრადსა და მოსკოვში გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. უეჭველია ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის აღმავლობას.

მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების გზა ბევრია. საჭიროა ამისათვის ფართოდ გამოვიყენოთ სემინარები, თათბირები, პარტიული აქტივის კრებები, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კრებები, პარტიული კომიტეტების ბიუროებისა და პლენუმების სხდომები.

მოწინავე ორგანიზაციების გამოცდილების განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა ნიშნავს იმას, რომ განუხრელად ვაუმჯობესებდეთ და სრულვყოფდეთ იმ მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს, რასაც იწყევიან პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ლენინურ-სტალინურ წინასწარმეტყველებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

## ბულგარეთიდან გამოემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

**სოფია,** 11 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით სოფიიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სამხედრო მინისტრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი.

აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ვილკო ჩერვენკოვმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა გეორგი ჩანკოვმა, რაიკო დამიანოვმა, ივანე მიხაილოვმა, გეორგი ტრაიკოვმა, ბულგარეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრებმა, სახალხო თავდაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა პეტრე პანჩევსკიმ, სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრებმა, მინისტრებმა, საბჭოთა კავშირის საელჩოს შემადგენლობამ სსრ კავშირის ელჩის მ. ფ. ბოდროვის მეთაურობით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრებმა.

## რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ საბერძნეთის პარლამენტის არჩევნების შედეგების შესახებ

**სოფია,** 11 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

როგორც რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ იუწყება, საბერძნეთის პარლამენტის 9 სექტემბრის არჩევნებში, მიუხედავად რეაქციონერების ტერორისა და მუქარისა, „ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ“, უკანასკნელი ცნობებით, 1.221.147 დღემდე დათვლილი ხმიდან მიიღო 147.523 ხმა.

რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ კომენტარს უკეთებს არჩევნების შედეგებს და აღნიშნავს, რომ ბერძენი ხალხის უმრავლესობამ ხმა მისცა ამერიკის რეაქციული პარტიების წინააღმდეგ, ხმა მისცა მშვიდობას, დამპატიმრებული პატრიოტების ამნისტიას და თავისუფლებას. ცალდარისმა და პაპანდრეუმ არჩევნებში სრული დამარცხება განიცადეს. ვენიზელოსმაც მნიშვნელოვანი რაოდენობით დაკარგა ხმები. ჩაიშალა საბერძნეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის პერიფუას ცდა შეესუსტებინა სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის ძალა საბერძნეთში. მიუხედავად იმისა, რომ ამ არჩევნებში 400 ათასამდე დემოკრატ მოქალაქეს წართმეული ჰქონდა ხმის უფლება, სახალხო ფრონტმა მნიშვნელოვნად გაადიდა ხმების რაოდენობა წარსულ არჩევნებთან შედარებით.

## მშრომელებისათვის ზრუნვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

**შანხაი,** 11 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „დაგუნბაოს“ ცნობით, შანხაის მუშათა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად ქალაქის ხელისუფლებმა მუშებისათვის გახსნეს 2 საავადმყოფო, 10 ამბულატორია და 1 ქალთა კონსულტაცია.

გარდა ამისა, სახალხო ხელისუფლები დაეხმარნენ ქალაქის საწარმოებს შექმნათ 15 სამედიცინო პუნქტი, რომლებიც 22 ათასზე მეტ კაცს უწევენ მომსახურებას.

**შანხაი,** 11 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ვენგუიბაო“ იუწყება, რომ ამჟამად ხანჯოუში არსებობს 321 საღამოს სკოლა მუშებისა და გლეხებისათვის, სადაც 34.030 კაცი შეცდინეობს, ე. ი. 26.030 კაცით მეტი, ვიდრე 1949 წლის დამლევს.

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

### 14 სექტემბერს

6.45 — სიმღერები მშვიდობაზე. 9.20— ძველებური ვალსების სუიტა. 10.30 — ნაწყვეტი ლ. ქიაჩელის რომანიდან: „გვადი ბიგვა“. 18.10 — ქართული მუსიკის კონცერტი. 18.30 — სტალინოს „შახტიორისა“ და თბილისის „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მეორე ნახევრის ტრანსლაცია თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 20.15 — საუბარი: საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე. 20.30 — ქალაქის ქსელით— რუს კომპოზიტორთა რომანსები თბილისის ოპერის თეატრის სოლისტის შ. ვაშალომიძის შესრულებით, რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — კამერული მუსიკის კონცერტი. 21.10 — საუბარი: რუმინეთის ელექტროფიკაციის გეგმა ხორციელდება ცხოვრებაში. 21.55 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 22.40 — ლექსები სამგორზე. 23.00 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ა. მიქაბერიძის და ერევნის ოპერის თეატრის სოლისტის კურბანიანის მონაწილეობით. 24.00 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

## დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები“, **მარჯანიშვილის სახელობის** — „მისი ვარსკვლავი“, **გრიბოედოვის სახელობის** — „უკანასკნელნი“ (მე-3 აბ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „პაში-აჩუკი“ (93-ე აბ. 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ძალად ექიმი“ (მე-9 აბ. 5 ს.), **სანკულტურის**— „ორი ბელნიერება“.

მოქალაქე **აკაკი ანტონის-ძე ჩიხლაძემ,** მცხოვრებმა ძერჟინსკის ქ. № 5, აღძრა საქმე მელქიშვილის შესახვ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **ლია ლევანის ასულ ჩიხლაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ალექსანდრე ივანეს-ძე გამსახურდიამ,** მცხოვრებმა გლდანის ქ. № 2, აღძრა საქმე გორკის შესახვევი № 6 მცხოვრებ მოქალაქე **ადელ მარკის ასულ კრონ-გამსახურდიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — „პრავდის“ 11-IX მოწინავე— გაეუმჯობესოთ ხელმძღვანელობა პარტიული განათლებისადმი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება საერთო სათაურით „ახალი შრომითი მიღწევებით შევხვდეთ მშვიდობის მომხრეთა კონფერენციას“. წერილები: მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის დელეგატების არჩევნები. ორთქლმავალი გეგმის გადამეტებით. მეშახტეთა ვახტი.

**მეორე გვერდი** — მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

პარტიული ცხოვრება — აგიტატორი და წიგნი. ქ. გოგლიძე— მნიშვნელოვანი პარტიული საქმე. ცხარე დღეები სამგორში. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე. რესპუბლიკური ინფორმაციები.

**მესამე გვერდი** — საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. უცხოეთის ინფორმაციები.

**მეოთხე გვერდი** — ნ. სოროკინი— სსრ კავშირის გუნდური პირველობის ფინალი ჭადრაკში. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

დედა ეკატერინე, შვილები ვანო, ლიზა, ელენე, ლექსო, ანა, რძლები ევა, ქეთო, შვილიშვილები ფიქრია, თინა, სიძე მათე ბეგლარიშვილები იუწყებიან **ნინო იოსების ასულ კომახის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-IX, სოფელ ხოვლეში (კასპის რ.).

ბებია თოდე, ბიძები: ნოე, ირაკლი, ბიცოლები ჩიაშვილები, დეიდა ნინო, სიძე მოსე, დეიდაშვილი გივი სამსონაძეები იუწყებიან **ქეთო ეპიფანეს ასულ დოლიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 13-IX, 5 ს. კალინინის, 19.

ბიცოლა ოლინკა, ბიძაშვილები სერგო, შურა, ჯულიეტა, რძალი ელენე დოლიძეები იუწყებიან **ქეთო ეპიფანეს ასულ დოლიძის** გარდაცვალებას.

მშობლები მაყვალა, ბიძინა ჩაჩხიანები, ბებიები: აგრაფინა, სონია, კატო, პეპო, ბაბუები ამბროსი, კარპე, ბიძები ივანე, გიორგი, ბიცოლა ლილი იუწყებიან პატარა **ნინოს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-IX, 8 ს. გამოსვენება 14-IX, 5 ს. პიონერის, 32.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების— 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04335